პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო.

კვირა.
24
ნოემბერი
1935 წ.
№ 272 (4428)

ფასი 10 კაპ.

სტახანოვური მოძრაობის საფუძველი გახდა, უწინარეს ყოვლისა მუშათა მატერიალური მდგომარეობის ძირფესვიანი გაუმჯობესება. ცხოვრება გაუმჯობესდა, ამხანაგებო, ცხოვრება უფრო საამური გახდა.

ი. სტალინი

ბელადის სიტყვა

ამხანაგ სტალინის მიერ სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირზე წარმოთქმული სიტყვა, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა, მოასწავებს სოციალიზმის მშენებლობის ახალ ეტაპს. ეს სიტყვა მანიფესტია ძლევამოსილი პროლეტარიატისა, რომელიც ახალგაზრდობის მჩქეფარე ენერგიას ათავსებს აზრის სიმწიფესთან და პერსპექტივათა უფართოეს სიშორესთან. თითქოს გიგანტური ჩირაღდანია ალმართულიო, ისე გარკვეულად გამოჩნდა სტახანოვური მოძრაობის გამომწვევი მიზეზები, ის გზები, რომლებითაც იგი ივლის, დაბრკოლებანი ამ გზაზე და ის საბოლოო მიზნები, რომლებსაც ჩვენ მივაღწევთ ყველა დაბრკოლების გადალახვით.

ამხანაგმა სტალინმა ამომწურავი სისრულით დაგვანახვა სტახანოვური მოძრაობის გრანდიოზული მნიშვნელობა. იგი, ეს მოძრაობა:

„ამსხვრევს ძველ ტექნიკურ ნორმებს, როგორც არასაკმარისს, აჭარბებს მთელ რიგ შემთხვევებში მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების შრომის ნაყოფიერებას და, ამრიგად, ქმნის ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შემდგომი განმტკიცების პრაქტიკულ შესაძლებლობას, ჩვენი ქვეყნის ყველაზე შეძლებულ ქვეყნად გადაქცევის შესაძლებლობას.

...იგი ამზადებს პირობებს სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასასვლელად.

...იგი შეიცავს მუშათა კლასის მომავალი კულტურულ - ტექნიკური ამაღლების თესლს.

...იგი გვიხსნის იმ გზას, რომელიც ერთადერთია შრომის ნაყოფიერების იმ უმაღლესი მაჩვენებლების მისაღწევად, რომლებიც საჭიროა სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასასვლელად და გონებრივი შრომისა და ფიზიკური შრომის დაპირისპირების მოსასპობად“.

საჭიროა მხოლოდ ჩავუკვირდეთ ამხანაგ სტალინის მიერ ბრწყინვალედ ჩამოყალიბებულ, მის მიერ ნათქვამ ამ დახასიათებას, რათა ნათელი და უდაო გახდეს, რომ სტახანოვური მოძრაობა „ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ისტორიაში შევა, როგორც მისი ერთერთი სახელოვანი ფურცელი“. ხოლო იდეას, რომელმაც სტახანოვური მოძრაობა წარმოშვა, იმ იდეას, რომელმაც აღმართა სტახანოვის და მის მიმდევართა აზრი და ხელი საწარმოო რეკორდებისათვის, ამ იდეას უფრო ადრინდელი თარიღი აქვს: 1935 წლის 4 მაისი. ეს იდეა მდგომარეობდა პარტიისა და ხალხის ბელადის ლოზუნგში: გამოვიყენოთ ტექნიკა ბოლომდე. ამ იდეის ნაპერწკლები მიმოიფანტა სოციალიზმის სამშობლოს თვალუწვდენელ სივრცეებზე და, მოწინავე პროლეტართა შრომითი ენტუზიაზმით გაღვივებული, შეერთდა სტახანოვური მოძრაობის მძლავრ კოცონად.

ასე გამართლდა ერთხელ კიდევ მარქსის და ენგელსის ოცნება იმ საუცხოო დროზე, როცა იდეები წინასწარ განსჭვრეტენ და განსაზღვრავენ ცხოვრების მიმდინარეობას, ისტორიული პროცესის მიმდინარეობას. როცა ენგელსი ამზადებდა „ანტი-დიურინგს“ და ფიქრობდა ისტორიაში იდეების როლზე, მან თავის თეზისებში ჩასწერა, რომ მთელი ათასი წლების განმავლობაში ადამიანები მუდამ აღწევდნენ რაღაც სხვას, ვიდრე იმას, რაც მათ სურდათ, ხოლო უმეტეს შემთხვევაში საწინააღმდეგოსაც კი. და მხოლოდ შორეულ მომავალში,—ოცნებობდა ენგელსი,—შეიძლება ყირაზე მდგომი ეს საქმეთა ვითარება ფეხზე დავაყენოთ, ადამიანებს შეეძლებათ წინასწარ იცოდნენ ურთიერთობათა შეცვლის აუცილებლობა და მოისურვონ ეს შეცვლა უფრო ადრე, ვიდრე თავს მოახვევდენ მათ მათი შეგნებისა და სურვილის წინააღმდეგ.

ეს საუცხოო დრო დადგა და ამის მკვეთრ დამამტკიცებელ საბუთებს ვხედავთ უკანასკნელი წლების მთელ მანძილზე. საბჭოთა ხალხის სიბრძნე, განსახიერებული სტალინში, წინასწარ გვიჩვენებს გზებს სოციალისტური მშენებლობის ერთი ეტაპიდან მეორე ეტაპისაკენ და სასურველ შედეგებს; სტალინის წინასწარ ხილვას მუდამ ამართლებს ცხოვრება, პრაქტიკა. რეალობა, რეალობად იქცა სტალინის იდეა ჩვენი მრეწველობის რეკონსტრუქციის და პირველხარისხოვანი ტექნიკის შექმნის შესახებ. რეალობად იქცა საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება. რეალობად იქცა და იქცევა იდეა: ბოლშევიკები უნდა დაეუფლონ ტექნიკას. ამ რეალობათაგან წარმოიშვნენ სტახანოველები და სტახანოვური მოძრაობა. ვინაიდან სტახანოველები —„ეს ისეთი ადამიანები არიან, რომლებიც სავსებით დაეუფლნენ თავიანთი საქმის ტექნიკას და რომლებსაც შესწევთ უნარი გამოსწურონ ტექნიკას იმის მაქსიმუმი, რისი გამოწურვაც კი მისგან შეიძლება“.

სტალინური იდეა — შეძლებული ცხოვრების ლოზუნგი რეალობა ხდება. და თვით „სტახანოვური მოძრაობის საფუძველი გახდა, უწინარეს ყოვლისა, მუშათა მატერიალური მდგომარეობის ძირფესვიანი გაუმჯობესება. ცხოვრება გაუმჯობესდა, ამხანაგებო. ცხოვრება უფრო საამური გახდა“.

საიდანაა ეს მზარდი უკეთესი, საამური ცხოვრება? საიდან წარმოსდგება სასწაულთმოქმედობა ბოლშევიზმის იდეებისა და ლოზუნგებისა—სტალინის იდეებისა და ლოზუნგებისა, რომლებიც განუწყვეტლივ ადიდებენ ჩვენი ქვეყნის ძლიერებას, განუწყვეტლივ გვაახლოვებენ კომუნისტური მოძრაობის საბოლოო მიზნებთან? ლენინმა მარქსისა და ენგელსის წიგნის „წმინდა ოჯახის“ კონსპექტში განსაკუთრებულად ხაზი გაუსვა ამ წიგნის ავტორთა სიტყვებს: „იდეა“ ყოველთვის თავს ირცხვენდა, როცა კი იგი „ინტერესს“ შორდებოდა. და შემდეგ: „მაშასადამე, ისტორიული მოქმედების საფუძვლიანობასთან ერთად, გაიზრდება იმ მასის მოცულობაც, რომლის საქმეს ის მოქმედება წარმოადგენს“. სტალინურ იდეებს სასწაულთმოქმედი ძალა იმიტომ ახასიათებს, რომ ისინი გამოხატავენ ხალხის სასიცოცხლო, ნამდვილ ინტერესებს, კაცობრიობის მშრომელი უმრავლესობის ნამდვილ ინტერესებს. ამიტომ არის, რომ ეს იდეები გზას იკაფავენ ადამიანთა მილიონების შეგნებისა და გრძნობისაკენ. ამიტომ არის, რომ წლითიწლობით, თვიდანთვემდი იზრდება იმ „მასის მოცულობა“, რომლის სასიცოცხლო საქმედ გახდა სტალინის საქმე, კომუნიზმის საქმე.

ამხანაგ სტალინის სიტყვა მიძღვნილი იყო სტახანოვური მოძრაობის ფესვებისა და შესაძლებლობათა ანალიზისადმი და იმ ამოცანებისადმი, რომლებიც ამასთან დაკავშირებით მთელი პარტიისა და მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე სდგება.

პირველი, მთავარი, ყოვლისშემცველი ამოცანაა ყველა იმ შეფერხების, დაბრკოლებისა და ზღუდის მოსპობა, რომლებიც სტახანოვური მოძრაობის გზაზე სდგანან.

ყველაზე მეტად შემაფერხებელი იყვნენ და კიდევ არიან ძველი ტექნიკური ნორმები, რომლებიც აღარ შეეფერებიან საბჭოთა მუშებისა და მუშა-ქალების კულტურის გაზრდილ დონეს, რომლებიც ჩვენს წინანდელ ჩამორჩენილობას გამოხატავენ და ასახავენ იმ სამეურნეო მუშაკებისა და ინჟინრების ნაწილის კონსერვატიზმს, რომლებიც ამ დრომოჭმულ ნორმებს ებღაუჭებიან, წარმოადგენს ერთერთ მთავარ დაბრკოლებას ჩვენი წინსვლის გზაზე და არ შეიძლება ვიფიქროთ, თითქოს ეს შეფერხება პატარა იყოს, თითქოს ეს კონსერვატიზმი თავისთავად გაქრებოდეს, მოისპობოდეს.

რა თქმა უნდა, დარწმუნების მეთოდი ამ შემთხვევაშიაც იქნება კონსერვატიზმთან ბრძოლის პირველი და მთავარი მეთოდი. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა წინდაწინვე ხელი აგვეღო კონსერვატორებზე ზემოქმედების რეპრესიული ზომებისაგან. ამხანაგმა სტალინმა თავისი სიტყვაში მოიყვანა მკაფიო მაგალითი ასეთი აუცილებლობის აღმოცენებისა რკინიგზის ტრანსპორტზე, სადაც ჯიუტმა კონსერვატორებმა უბრძოლველად არ მოისურვეს გამოსთხოვებოდნენ დაბალ და ზღვარულ სისწრაფეთა (13—14 კილომეტრი საათში) ვითომდა მეცნიერულ თეორიას. რა უნდა გვექნა ამ შემთხვევაში? „გასაგებია,—ამბობს ამხანაგი სტალინი, რომ იძულებული ვიყავით ამ პატივცემული ადამიანებისათვის კბილები ცოტათი მოგვეკვეთა და თავაზიანად გაგვეძევებინა ისინი გზათა სახალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატიდან (ტაში). და რა გამოვიდა? ახლა ჩვენ გვაქვს 18—19 კილომეტრის კომერციული სისწრაფე საათში“.

მატარებლების, დაზგების სისწრაფეთა დაჩქარება, ქვანახშირის ამოღების, მანქანების, ტექსტილის, ფეხსაცმლის, წარმოების ტემპების დაჩქარება და რაოდენობის გადიდება, სოციალიზმის სრბოლის დაჩქარება,—აი სტახანოვური მოძრაობის ამოცანათა ამოცანა. ყველაფერი ბოლომდე გამოვსწუროთ ტექნიკას—ამ დროშით, ამ თვალსაზრისით უნდა შეამოწმოს ყოველმა სამეურნეო მუშაკმა, ყოველმა ინჟინერმა მექანიზმების ყველა საწარმოო სიმძლავრე, მათი გამოყენების ყველა წინანდელი გაანგარიშებანი და ნორმა. ეს მძლავრი მოძრაობა ამხანაგ სტალინის სიტყვის პასუხად უკვე დაიწყო. მრავალი საწარმო, ნორმების ახალი გამოანგარიშების საფუძველზე, რომელიც სტახანოვური მოძრაობით არის გამოწვეული, უარს აცხადებს დამატებითი დაზგების, ორთქლმავლების ახალი კაპიტალური მშენებლობის თვალსაჩინო ნაწილზე, იძლევა ვალდებულებებს დააჩქაროს საწარმოო პროგრამათა შესრულება წინანდელი მოწყობილობით, შეასრულოს მეორე ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში. ასეთია უკვე პირველ დღეებში ამხანაგ სტალინის სიტყვის პასუხი, პასუხი საქმით, სტალინური იდეების რეალიზაციით, ცხოვრებაში გატარებით.

ამხანაგ სტალინის სიტყვა—ეს არის მოქმედების ახალი დიდი პროგრამა მთელი პარტიისათვის, მთელი მუშათა კლასისათვის. სტალინმა სთქვა, რომ „დღეს სტახანოველები ჯერ კიდევ ცოტანი არიან, მაგრამ ვის შეეპარება ეჭვი იმაში, რომ ხვალ ისინი ერთიათად მეტი იქნებიან!“ ვის შეუძლია ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ „სტახანოვური მოძრაობა მთელი სიგრძე-სიგანით გაიშლება, ჩვენი ქვეყნის ყველა ოლქსა და რაიონს მოედება და ახალ მიღწევათა სასწაულებს დაგვანახვებს?“ ამაში ეჭვი არ არის და არც შეიძლება იყოს. ვინაიდან სტალინის მიერ დასმული ამოცანები ხდება რკინის კანონად მთელი პარტიისათვის. ვინაიდან ახალი ადამიანები ჩვენმა სტალინურმა ეპოქამ წარმოშვა და ყოველდღე წარმოშობს. ვინაიდან კომუნიზმის იდეები, სტალინის იდეები ფლობენ ჩვენს ქვეყანას და დაეუფლებიან მთელს მსოფლიოს.

„პრავდის“ 23/XI მოწინავე.

ამხ. ლიუტუის მსოფლიო რეკორდი

ენაკიევო, 23 ნოემბერი. (ელვა) ენაკიევის ქარხნის მეფოლადემ მიხეილ ლიუტუიმ ამხანაგ სტალინის სიტყვას საქმით უპასუხა,—35 ტონიან ღუმელზე მან კვადრატულ მეტრ ქვედზე 20 ტონა ფოლადი ამოიღო. ენაკიევოს მეფოლადეებმა განაცხადეს: „ჩვენ არ დავუთმობთ პირველობას ტაგანროგელებთან და ძერჟინსკელებთან შეჯიბრებაში. კვადრატულ მეტრზე 23 ტონას ამოვიღებთ“ (ადს).

ნოტების გაცვლა-გამოცვლა იტალიის მოსკოვის საელჩოსა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს შორის

მოსკოვი, 23 ნოემბერი. ა.-წ. 11 ნოემბერს იტალიის მოსკოველმა ელჩმა ბარონმა არონე დი ვალენტინომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. მ. მ. ლიტვინოვს თავისი მთავრობის სახელით გადასცა ვერბალური ნოტა, იტალიის მიმართ ეკონომიური სანქციების გამოყენების შესახებ ერთა ლიგის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, იტალიის დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა ანალოგიური ნოტები იმავე დროს გადასცეს ყველა იმ სახელმწიფოს მთავრობებს, რომლებიც მონაწილეობენ ერთა ლიგის წესდების მე-16 მუხლით გათვალისწინებული ზოგიერთი სანქციის გამოყენების შესახებ საკოორდინაციო კომიტეტის გადაწყვეტილებათა გატარებაში.

იტალიის მთავრობა ნოტაში აცხადებს —„ყველაზე სრულ და კატეგორიულ პროტესტს იმ ღონისძიებათა სიმძიმისა და უსამართლობის წინააღმდეგ, რომლებიც ტარდება მეფის მთავრობის საზიანოდ“. ნოტაში აღნიშნულია, რომ ერთა ლიგას უნდა გაეთვალისწინებინა ის ფაქტები, რომლებიც მოხდა მას შემდეგ, რაც ჟენევაში აღნიშნულ გადაწყვეტილებანი მიიღეს, სახელდობრ, რომ აბისინიის იმ რაიონების მოსახლეობა, რომელთა ოკუპაციაც იტალიის ჯარებმა მოახდინეს, „იტალიას ნდობით მოეპყრო, რაც იტალიას მფარველობის ახალ ვალდებულებას აკისრებს“.

„მრავალი სახელმწიფოს მთავრობანი,—ნათქვამია იტალიის ნოტაში,—მკაცრად და აჩქარებით მივიდნენ იქამდე, რომ განეხილათ და დაედგინათ საკორდინაციო კონფერენციაზე შეთანხმებული ზემოქმედების ზომების გამოყენება იტალიის მიმართ, თუმცა საკოორდინაციო კონფერენცია სრულიადაც არ წარმოადგენს ერთა ლიგის ორგანოს და თავის ძიებას და თავის ზრუნვას ისე ატარებდა და ატარებს, რომ იტალიას ამაზე სრულიად არაფერს ატყობინებენ“.

ნოტაში შემდეგ აღნიშნულია, რომ „ასეთი ხასიათის სანქციები არასოდეს ყოფილა გამოყენებული წინანდელ კონფლიქტებში“ და რომ საკოორდინაციო კომიტეტმა „წინადადება მისცა მთავრობებს უახლოეს მომავალში ერთსდაიმავე დროს და საბოლოოდ განახორციელონ ყველა ზომა, რომლებიც დასახულია კომიტეტში წარმოდგენილი ქვეყნების კოლექტიური გამოსვლისათვის, ამასთან მან უარყო სანქციების თანდათანობით და პროგრესიულად გამოყენების ყველა კრიტერიუმი“. იტალიის ნოტა მიაქცევს ყურადღებას იმ შედეგებზე, რომლებიც სანქციების გამოყენებას მოჰყვება არა მარტო იტალიისათვის, არამედ „ისედაც უნუგეშო მდგომარეობაში მყოფი მსოფლიო მეურნეობისათვისაც“. ნოტა აცხადებს, რომ იტალიის მთავრობა „იძულებული იქნება მიიღოს ეკონომიური და ფინანსიური ხასიათის ზომები, რომლებიც, კერძოთ, გამოიწვევდნენ ახლანდელი საქონელბრუნვისა და გაცვლის არსებითი შეცვლას“.

დასასრულ იტალიის მთავრობა აცხადებს, რომ იტალიამ „დღემდე არ მოისურვა გამოსთიშოდა ჟენევის ინსტიტუტს, მიუხედავად თავისი პოზიციისა იტალიის საზიანოდ გამოყენებული პროცედურის წინააღმდეგ, ვინაიდან მას უნდა, რომ კონფლიქტს, რომელზეც ლაპარაკია, უფრო ფართო გართულება არ მოჰყვეს. იტალიის მთავრობას, რომელმაც მიიღო ყველა ზომა, რასაც კი შეუძლია ხელი შეუშალოს იმას, რომ შექმნილი ვითარებიდან ახალი საფრთხე წარმოიშვას, თავის მოვალეობად მიაჩნია მიაქციოს ერთა ლიგის წევრ-სახელმწიფოთა მთელი ყურადღება მიღებულ ზომებთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობაზე და მათი შედეგების სიმძიმეზე. იტალიის მთავრობა მადლობელი იქნება, თუ მას აცნობებენ, თუ რა ნაბიჯების გადადგმას აპირებს სსრ კ-ის მთავრობა, თავისი თავისუფალი და სუვერენული შეფასების მიხედვით, იტალიის წინააღმდეგ წამოყენებულ შემზღუდავ ღონისძიებებთან დაკავშირებით“.

ა.-წ. 22 ნოემბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. მ. მ. ლიტვინოვმა იტალიის ელჩს ბარონ არონე დი ვალენტინოს გადასცა საპასუხო ვერბალური ნოტა, რომელიც აცხადებს:

„თავის ნოტაში იტალიის საელჩო, თავისი მთავრობის განკარგულებით, აცნობებს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს მოსაზრებებს, იტალია აბისინიის ომთან დაკავშირებით, ერთა ლიგის ასამბლეის, საბჭოს, აგრეთვე ასამბლეის ნებასურვილით შექმნილი საკოორდინაციო კომიტეტის ზოგიერთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომლებიც იტალიის მთავრობას უკანონოდ და უსამართლოდ მიაჩნია, საეჭვოა, იტალიის მთავრობა მოელოდეს, რომ საბჭოთა მთავრობა ინდივიდუალურად ჩასთვლიდა და თავისთავს უფლებამოსილად გამოვიდეს ახსნა-განმარტებებით იმ გადაწყვეტილებათა გამო, რომლებიც კოლექტიურად მიიღო საერთაშორისო ორგანიზაციამ 50-ზე მეტ სახელმწიფოს მონაწილეობით, მით უფრო, რომ იტალია თვითონაც არის ამ ორგანიზაციის წევრი და შეუძლია მის წინაშე ყოველგვარი საკითხი უშუალოთ დასვას.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის მონაწილეობას აღნიშნულ გადაწყვეტილებებში, მისმა წარმომადგენლებმა ჟენევაში საკმაო სიცხადით განმარტეს, თვითეულ შემთხვევაში, ის მოტივები, თუ რატომ მისცეს მათ ხმა აღნიშნულ გადაწყვეტილებებს და რატომ შეუერთდა საბჭოთა კავშირი ამ გადაწყვეტილებებს. ეს მოტივები მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად გამოითქვას. საბჭოთა კავშირი არა თუ არ გრძნობს რაიმე მტრობას იტალიის ხალხისადმი, არამედ გამსჭვალულია მტკიცე სურვილით—შეინარჩუნოს და განავითაროს მასთან საუკეთესო ურთიერთობა. როგორც სახელმწიფო, საბჭოთა კავშირი ოდნავადაც არ არის დაინტერესებული იტალია-აბისინიის კონფლიქტით და იმით, თუ როთ გათავდება ეს კონფლიქტი. ამ კონფლიქტის განხილვაში და მის გამო მიღებულ გადაწყვეტილებებში საბჭოთა კავშირი მონაწილეობდა მხოლოდ როგორც ერთა ლიგის წევრი, რომელიც თანამიმდევრულად ატარებს მშვიდობიანობის პოლიტიკას, რომელმაც მიიღო ლიგის წესდება. ეს წესდება უზრუნველყოფს თავისი მე-10 მუხლით ლიგის წევრ ყველა სახელმწიფოსათვის მათს პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და ტერიტორიალურ მთლიანობას და მე-16 მუხლით აკისრებს ყველა წევრს გარკვეულ ვალდებულებებს იმ შემთხვევაში, თუ ვინმე ამ პრინციპებს დაარღვევს.

საბჭოთა მთავრობას სწორად არ მიაჩნია დებულება, თითქოს აბისინია გამონაკლისს უნდა შეადგენდეს და არ სარგებლობდეს ყველა იმ უფლებით, რომლებსაც ერთა ლიგა თავის სხვა წევრებს აკუთვნებს. საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისით, ლიგის ყველა წევრი უნდა სარგებლობდეს სრული თანასწორუფლებიანობით თავდასხმის ყველა შემთხვევაში, რასიული და სხვა ნიშნებისაგან დამოუკიდებლად.

საბჭოთა მთავრობის აზრით, ეჭვს გარეშეა, რომ მე-12 მუხლის დარღვევის ფაქტის დადგენის მომენტიდან ლიგის არც ერთს წევრს, მთელი მისი სუვერენობის მიუხედავად, უფლება არა აქვს თავი აარიდოს მე-16 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებებს.

საკოორდინაციო კომიტეტის იურიდიული ბუნებისაგან დამოუკიდებლად, უნდა აღვიაროთ, რომ ამ კომიტეტმა კი არ გაადიდა, არამედ შეზღუდა სანქციები, რომლებიც სავალდებულოა ერთა ლიგის ყველა წევრისათვის მე-16 მუხლის ზუსტი მნიშვნელობით. ამ კონცეპციასთან შეფარდებით, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა ჟენევაში ხმა მისცეს, ხოლო საბჭოთა მთავრობა შეუერთდა იმ ღონისძიებებს, რომლებიც კოლექტიურად მიღებულია თითქმის ერთხმად ლიგის ყველა წევრის მიერ. მოქმედების სხვა ხაზი იქნებოდა ერთა ლიგის საფუძვლების უარყოფა, უშიშროების კოლექტიური ორგანიზაციის უარყოფა, აგრესიის წაქეზება შემდეგისათვის და იმის უარყოფა, რომ შესაძლებელია საერთაშორისო სოლიდარობის გამოჩენა საყოველთაო მშვიდობიანობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის საფუძველს და რომლისთვისაც იგი ერთა ლიგაში შევიდა.

საბჭოთა მთავრობა კმაყოფილებით ღებულობს ცნობად იტალიის მთავრობის განცხადებას ყველა იმ ზომის მიღების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუშალონ ახალი საფრთხის წარმოშობას შექმნილ ვითარებაში, და ნებას აძლევს თავის თავს გამოსთქვას სურვილი, რომ რაც შეიძლება მალე შეწყდეს სისხლისმღვრელი კონფლიქტი და მოხდეს ყველა მისი შედეგის ლიკვიდაცია. საბჭოთა მთავრობას ამავე დროს სურს იმედი იქონიოს, რომ მის მიერ თავისი საერთაშორისო მოვალეობის შესრულება გავლენას ვერ მოახდენს საბჭოთა კავშირისა და იტალიის სამეფოს შემდგომ მეგობრულ ურთიერთობაზე“.

ჰიტლერის საუბარი საფრანგეთის ბერლინელ ელჩთან პონსესთან

პრესის გამოხმაურება

პარიზი, 22 ნოემბერი. ყველა გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჰიტლერის გუშინდელ შეხვედრას საფრანგეთის ბერლინელ ელჩთან პონსესთან. გაზეთების საყოველთაო აზრით ჰიტლერისა და პონსეს საუბრის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა შემდეგი საკითხი — საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის დადებულ ურთიერთდახმარების ხელშეკრულების რატიფიკაცია, რომელიც ამ დღეებში უნდა მოახდინოს საფრანგეთის პალატამ.

მთელი რიგი გაზეთები აღნიშნავენ, რომ ჰიტლერისა და პონსეს საუბარს დაესწრო საგარეო საქმეთა მინისტრი ნეირატი. ამაში ხედავენ იმის დამადასტურებელ საბუთს, რომ საუბრის დროს ჰიტლერს ესაჭიროებოდა ფორმალური დიპლომატიური და ტექნიკური ხასიათის რჩევა - დარიგება და ცნობები.

„ევრი“ სწერს:

„ჰიტლერი დიდხანს გამოჰკითხავდა ჩვენს ელჩს ცნობებს საფრანგეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ. მთავარი საკითხი კი, რომელზედაც იგი შეჩერდა, — ეს არის საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხი. პონსემ მას გააცნო ამ ხელშეკრულების შინაარსი და მიუთითა, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას საფრანგეთის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობისათვის, ამასთან პონსე ამტკიცებდა, რომ ხელშეკრულება არ არის მიმართული გერმანიის წინააღმდეგ. რამდენადაც ხელშეკრულებასთან, დართული ოქმი ითვალისწინებს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ძალაში შესვლას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთს ან საბჭოთა კავშირს თავს დაესხმის გერმანია. ხელშეკრულება უკვდავი ასოდ დარჩება. თუ გერმანიას, როგორც ამას მუდამ აცხადებს ჰიტლერი, ევროპაში არა აქვს სხვა განზრახვები, გარდა მშვიდობიანი თანამშრომლობის განზრახვებისა“.

ლონდონი, 22 ნოემბერი. ბერლინიდან მიღებული ცნობები, რომლებიც გაზეთებმა გამოაქვეყნეს, ერთსულოვნად ხაზს უსვამენ ჰიტლერის და საფრანგეთის ელჩის საუბრის მნიშვნელობას და აღნიშნავენ, რომ ამ საუბრის დროს ყურადღება ექცეოდა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის პაქტსო.

„დეილი-ტელეგრაფის“ პარიზელი კორესპონდენტი სწერს, რომ საფრანგეთის ელჩის საუბარმა ჰიტლერთან არავითარი „კონკრეტული შედეგები“ არ მოგვცა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ საფრანგეთის მხარის წინადადებით გამოქვეყნდა ოპტიმისტური ცნობა. კორესპონდენტი დასძენს, ჰიტლერი საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის პაქტს ჯერ კიდევ სთვლის გადაულახავ დაბრკოლებად საფრანგეთ - გერმანიის ურთიერთობის გაუმჯობესების გზაზე.

ბერლინი, 22 ნოემბერი. პონსესა და ჰიტლერის გუშინდელი შეხვედრის გამო საქმესთან გაცნობილ წრეებში აღნიშნავენ, რომ საუბარს პონსეს, ჰიტლერის და ნეირატის გარდა დაესწრო აგრეთვე გერმანიის ელჩი პარიზში კესტერი. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ მოლაპარაკების „მეგობრულ ხასიათს“.

რომი, 22 ნოემბერი. ცნობამ საფრანგეთის ბერლინელი ელჩის პონსეს და ჰიტლერის შეხვედრის შესახებ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იტალიის წრეებში. აღნიშნავენ, რომ გერმანია - საფრანგეთის მოლაპარაკების განახლება მოხდა სწორედ იმ დროს, როცა იტალია, რომელიც იზოლირებული სდგას 56 სახელმწიფოს—ერთა ლიგის წევრთა ფრონტის წინაშე — ერთგვარ იმედებს ამყარებდა გერმანიაზე. (ადს).

ამხანაგი სტალინი ამბობს სიტყვას სტახანოველთა საკავშირო თათბირზე.

მარიამ დემჩენკოს მოწოდებას საქმით ვუპასუხებთ!

ბათომის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის დამკვრელ ქალთა წერილი

თქვენ, ალბათ, უკვე ყველამ იცით, თუ რა დიდი ჯილდოს ღირსნი გავხდით ჩვენ, ჭარხლის მინდვრების დამკვრელები, მოსკოვში ყოფნის დროს. ბრძენ ბელად სტალინთან საუბრის დროს ჩვენ პირობა დავდეთ, რომ მივაღწევთ მოსავლიანობის შემდგომ გადიდებას.

რიგი ახლა თქვენზეა საქართველოს ჩაის, ვენახისა და თამბაქოს პლანტაციების დამკვრელებო“...

ასეთი მოწოდებით მოგვმართეს ჩვენ, საქართველოს კოლმეურნე ქალებს, მარიამ დემჩენკომ და მისმა ამხანაგებმა ხუთასოსანებმა, რომელიც გამოქვეყნდა ჩვენი გაზეთ „კომუნისტის“ 16 ნოემბრის ნომერში.

გაზეთში ამ მოწოდების წაკითხვამ ჩვენ აღფრთოვანა, ძალა შეგვმატა, წაგვახალისა გაორკეცებული ენერგიით ვიბრძოლოთ მოსავლის უფრო მეტად გადიდებისათვის.

ამის მისაღწევად, — როგორც ამას ხუთასოსანები მიგვითითებენ, — საჭიროა შეუპოვარი შრომა, ბოლშევიკური თავგამოდება, დაჟინება.

ჩვენ, სოფ. ურეხის ამხ. კიროვის სახელობის კოლმეურნე ქალები, გავაკეთებთ ყველაფერს, რათა სასახელოდ შევასრულოთ ორდენოსან მარიამ დემჩენკოს და სხვა ხუთასოსანთა ეს მითითება. ამის სრული შესაძლებლობა გვაქვს.

ჩვენი პარტია, ჩვენი ხელისუფლება დიდი სტალინის მეთაურობით, ყოველდღიურად ზრუნავენ მშრომელ ქალებზე. ბედნიერი დრო დაგვიდგა. ახლა ჩვენ აღარ ვატარებთ ჩადრს, წერა-კითხვა შევისწავლეთ, კოლექტივში ვართ გაერთიანებული და მას საკუთარი ოჯახივით შევყურებთ.

წინათ ჩვენს ქალებს ხალხში გამოსვლა რცხვენოდათ, სახეს იმალავდნენ, ახლა კი ისინი საბჭოს და კოლმეურნეობის გამგეობის წევრები, რგოლის ხელმძღვანელები და მოწინავე დამკვრელები არიან. კოლმეურნე ქალს **ესმა დევაძეს** წელს 215 შრომადღე აქვს გამომუშავებული. კოლმეურნეობაში განსაკუთრებით თავდადებული მუშაობისათვის ამიერკავკასიის მთავრობამ მას მადლობა გამოუცხადა.

ჩვენი ქალები ახლა ბევრ შემთხვევაში შრომაში მამაკაცებს კიდეც უსწრებენ. მაგალითად, კოლმეურნეობის წევრს, **ხაჯირი გორგილაძეს** 10 თვის განმავლობაში 196 შრომადღე აქვს გამომუშავებული. მამამისს მამედს კი—147. კომკავშირელმა გოგონამ **ფადიმე დევაძემ** 206 შრომადღე გამოიმუშავა, 27 შრომადღით მეტი, ვიდრე მისმა უფროსმა ძმამ შაბაზმა. ასეთები ჩვენთან ძალიან ბევრია.

ქალები ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში დიდ სამუშაოებს ვასრულებთ. უმეტესად ჩვენ გვიხდება პლანტაციებში სასუქის შეტანა, ჩაის თესვა, თესლის კრეფა, ჩაის ბუჩქის გამოხელვა და სხვ. საჭიროების დროს მამაკაცებს ვეხმარებით აგრეთვე ბუჩქების გაფორმებაში, თოხნაში და მსუბუქ გადაბარვაშიაც კი. ვგრძნობთ, რომ მამაკაცებთან ერთად ჩვენც დიდი პასუხისმგებლობა გვეკისრება მოსავლიანობის გადიდებაში.

38 ჰექტარი ჩაის პლანტაცია და 7 ჰექტარი ციტრუსის ნარგავი გვაქვს გაშენებული. მცირე გამონაკლისს გარდა, ეს ახალგაზრდა პლანტაციებია, მაგრამ მოსავლის გადიდებაში არც ჩვენ გვიჭამია სირცხვილი პარტიისა და მთავრობის წინაშე.

შარშან 7.000 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს 11.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი ჩავაბარეთ. წელს კი—17.000 კილოგრამი. შარშან 50,000 ცალი მანდარინი მოვკრიფეთ, ხოლო წელს გეგმით გათვალისწინებული 153.000 ცალი მანდარინის ნაცვლად 225.000 ცალს ვაბარებთ სახელმწიფოს.

მიღწევები გვაქვს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ჩვენ ჯერ კიდევ დიდი მუშაობა გვჭირდება იმისათვის, რომ მარიამ დემჩენკოს და მის ამხანაგებს გავუსწორდეთ მოსავლიანობის გადიდებაში. აგრონომმა გვითხრა: ჩინეთში და იაპონიაში ჰექტარზე 3.000—6.000 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფენო; რატომ არ შეიძლება ჩვენც ისე მოვაწყოთ საქმე, რომ ჩაის მოსავლიანობის გადიდებაში ჩინეთსა და იაპონიას გავუტოლდეთ და გავუსწროთ კიდეც. ეს შესაძლებელია. ამას ჩვენი მეზობელი, ამხ. ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მეხუთე ბრიგადის მაგალითიც ამტკიცებს. ამ ბრიგადამ ისე დააყენა ჩაის მოვლა, რომ წელს ჰექტარზე საშუალოდ 5.600 კილოგრამი ჩაი მიიღო.

ყოველმა ჩვენთაგანმა ვოროშილოვისებურად უნდა იმუშაოს. ამისათვის საჭიროა, ჩვენ, ქალებმა კარგად და გულდასმით შევისწავლოთ ჩაისა და ციტრუსების მოვლის აგროწესები, ვიზრუნოთ ჩაის ყოველ ბუჩქზე.

ჩვენი ჩაის პლანტაციები რომ დაათვალიეროთ, ნახავთ — ზოგიერთი ბუჩქი სუსტადაა განვითარებული, ნაკლებ მოსავალს იძლევა; ამ ბუჩქებს მეტი ყურადღება და მზრუნველობა ესაჭიროება, რომ სხვებს გაუტოლდეს და მეტი მოსავალი მოგვცეს. მეჩხერები აუცილებლად უნდა შევავსოთ ბუჩქებით.

მოსავლის გასადიდებლად მუშაობა ისე უნდა დავიწყოთ, როგორც ეს აგროწესებშია გათვალისწინებული. ჰექტარზე ნამდვილად უნდა იყოს 10.000 ძირი ნორმალურად განვითარებული ბუჩქი. ჩაის პლანტაცია უნდა დავიცვათ ცივი ქარებისაგან; დაწესებულ ვადებში ვთოხნოთ, ვბაროთ, ვანოყიეროთ და ვკრიფოთ—ასეთია ამოცანა.

ყოველი ნაკვეთის, ყოველი ბუჩქის შესწავლა მოსავლის გადიდების ერთერთ მთავარ პირობას წარმოადგენს. აი ერთი პატარა, მაგრამ საყურადღებო მაგალითი: როგორც ცნობილია, წელს ჩაის კრეფის დროს ჩვენში დიდხანს იყო გვალვები. განუწყვეტლად ვკრეფდით, მაგრამ ჩაი მაინც არ იზრდებოდა. გადავწყვიტეთ — პირველი ბრიგადის ერთი პატარა ნაკვეთი მოგვერწყო და ასეც მოვიქეცით. ამ ღონისძიებამ საუკეთესო შედეგი მოგვცა. გეგმის მიხედვით ამ ნაკვეთზე 200 კილოგრამი ფოთოლი უნდა მოგვეკრიფა, მაგრამ მორწყვის შემდეგ ამ ნაკვეთზე 400 კილოგრამი საუკეთესო ხარისხის ჩაი ავიღეთ, **ერთი-ორად იმაზე მეტი, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული.**

გადაწყვეტილი გვაქვს მომავალ წელს, ამ წელთან შედარებით, სულ უკანასკნელი, 35—40 პროცენტით გავადიდოთ ჩაის მოსავალი. დროზე გადავბარავთ პლანტაციებს, შევიტანთ სასუქს, გავაფორმებთ ბუჩქებს და მოვაწესრიგებთ წყალგამყვან არხებს, ერთი სიტყვით, ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა მომავალ წლისათვის მოსავალი უფრო მეტად გავადიდოთ.

ეს იქნება ჩვენი ბოლშევიკური, საქმიანი პასუხი ორდენოსან მარიამ დემჩენკოს მოწოდებაზე.

კოლმეურნე ქალთა დავალებით.

ტფილისის პროლეტარიატი ღირსეულად შეასრულებს ბელადის მითითებებს

ტფილისის ფაბრიკა - ქარხნებში და ტრანსპორტზე 23 ნოემბერს გრძელდებოდა მიტინგები და კრებები ამხანაგ სტალინის მიერ სტახანოველთა საკავშირო თათბირზე წარმოთქმული სიტყვის ირგვლივ. ტფილისის მუშები საყვარელ ბელადის სიტყვას შრომითი ენტუზიაზმის ახალი აფეთქებით უპასუხებენ. კრებებსა და მიტინგებზე გამოსული მუშები გამოსთქვამდნენ მტკიცე გადაწყვეტილებას, ჩადგნენ სტახანოველთა რიგებში, იმუშაონ ახლებურად, დაამყარონ შრომის ნაყოფიერების ახალი რეკორდები. ისინი ახალი კონკრეტულ ვალდებულებებს კისრულობდნენ, დიდი მადლობითა და სიყვარულით აღნიშნავდნენ მუშები ამხ. სტალინის ზრუნვას სტახანოველებზე. მუშები აგრეთვე აცხადებდნენ, რომ აუცილებელია ახალი ტექნიკური ნორმების გამომუშავება.

სტალინის სახ. ორთქლმავალთა ემკეთ. ქარხანა

22 ნოემბერს სტალინის სახელობის ორთქლმავალთა შემკეთებელ ქარხანაში დილიდანვე გავრცელდა ხმა, ჩვენი საყვარელი ბელადი გამოვიდა და ჩვეულებისამებრ ბრძნული სიტყვა წარმოსთქვა მოსკოვში შეკრებილ სტახანოველთა თათბირზე. ამის დაწვრილებითს ამბავს მუშები გულისფანცქალით მოელოდნენ.

საყვირმა ამცნო მუშებს მუშაობის დამთავრების დრო. გაიღო ქარხნის ეზოს კარი, მაგრამ არც ერთი მუშა არ წასულა. ყველა გაეშურა კრებისათვის დანიშნულ ადგილისკენ სასადილოში. დაიკავეს ადგილები. ბელადის მიერ სტახანოველთა თათბირზე წარმოთქმული სიტყვის კითხვა დაიწყო ამიერკავკასიის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილემ ამხ. ილიკო ჟორჟოლაძემ, რომელსაც მუშები გულდასმით უსმენდნენ.

ამხ. სტალინის სიტყვის წაკითხვის შემდეგ კრება ფეხზე დგება და გაისმის ძახილი: „ვაშა“, „გაუმარჯოს ჩვენს ბელადს, ამხანაგ სტალინს“, „გაუმარჯოს ჩვენ სოსოს“, „გაუმარჯოს კობას“.

კრებაზე გამოვიდნენ ქარხნის სტახანოველები და იკისრეს ახალი ვალდებულებები.

ავტომუხრუჭების ხელოსანი ამხ. **ბრომძელი** ამბობს — მე ვკისრულობ ნაწილების დამზადებას 40 ორთქლმავლისათვისო.

აღსანიშნავი იყო ძველი მუშის **ხუროშვილის** სიტყვა: დღეს მუშას არავინ უჭერს მუხრუჭს — ამბობს ის — თითეული პატიოსანი მშრომელის აზროვნება თავისუფალია, უნდა გამოიყენოს იგი და ყველაფერი გვექნება სტახანოვურად მუშაობისათვისო. ქარხანაში სამ ადგილას გამართულ კრებაზე სიტყვით გამოვიდა 50 მუშაზე მეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ყალიბდებოდა ბელადი

მოგონებანი ამხანაგ სტალინის მუშაობაზე პირველი რევოლუციის პერიოდში

ძ. მაჭარაძე

ძველი მუშა.

სოსოს წარსულიდან

პირველად 1896 წლის ბოლოს დავიწყე არალეგალურ წრიში მუშაობა. უფროსმა ამხანაგებმა წინადადება მომცეს სადმე საიმედოდ კონსპირატიული ოთახი დამექირავა. ასეთი ბინა ვიშოვეთ ელისაბედის ქუჩაზე (ეხლა კლარა ცეტკინისა № 194). ეზოში სალითონო სახელოსნო იყო. აქ მუშების გამუდმებული მიმოსვლა იყო და ამიტომ ჩვენთან მომსვლელი ამხანაგებიც შეუმჩნეველი რჩებოდნენ პოლიციისთვის.

ამ ბინაზე ვცხოვრობდით ვ. სტურუა (პარტიული მეტი სახელი „პლუტი"), გ. ნინუა („ბურჟუა"), ლ. მამალაძე („ყურუმსალი") და მე („მეკვერცხე"). ამ ფსევდონიმებით მოგვნათლეს ძველმა ამხანაგებმა არალეგალური მუშაობის დაწყების დღიდან.

წარმოიდგინეთ ამხ. სტალინის განსაცვიფრებელი მეხსიერება: მას აქეთ რამდენიმე ათეულმა წელმა განვლო და 1925 წელს, როდესაც მოსკოვში ვიყავი ამხ. სტალინთან, ის სიხარულით იგონებდა ამ ჯგუფს ფსევდონიმებით, მეკითხებოდა: „ბურჟუა", „პლუტი", „მეკვერცხე", როგორ არიან, რას შვრებიანო. 27 წლის უნახავს მეკითხებოდა — შენ „მეკვერცხე" არა ხარო?

აი სწორედ ეს ჩემი ბინა იყო უდიდესი ბელადის ამხ. სტალინის სარევოლუციო სკოლა. პირველად აქ დაიწყო მუშებში მეცადინეობა. ჩვენთან ამხ. სოსო მოიყვანა ს. ჯიბლაძემ და გვითხრა: ეს ახალგაზრდა პროპაგანდისტი იქნის თქვენთან. ჩაბარეთ ახალგაზრდა მუშები და მათთან იმეცადინებსო. თან დაუმატა: ეს ყმაწვილი ნიჭის პატრონია და რამდენიმე ხნის შემდეგ პირველ ალაგს დაიჭერს ჩვენს ქიქია და მშიშარა ინტელიგენტებშიო.

ეს სიტყვები მაგონებს ერთ ამბავს, რომელიც 1899 წ. ზაფხულზე მოხდა. ქალაქგარეთ მთაზედ სახელოსნოს მუშების კრება იყო მოწვეული. ირჩეოდა კერძო სახელოსნოების მუშათა გაფიცვის საკითხი. პროპაგანდისტებად მივყავდა ვ. ცაბაძე და სოსო. ცაბაძე შეჩერდა: „აგერ კაზაკები არიან ჩაწოლილი. ჩქარა წავიდეთ, დავბრუნდეთ უკან, თორემ დაგვიჭერენო". ამხ. სოსომ უპასუხა: „ეს ბუჩქებია, აქ რა უნდათ პოლიციელებსო?" ვასო უკან ჩამორჩა, სოსო წამოვიდა და მართლაც ბუჩქები გამოდგა. რამდენიმე ხნის შემდეგ ვასოც მოვიდა, როცა დარწმუნდა რომ ყველაფერი რიგზე იყო.

ამხ. სოსოს ჩავაბარეთ ახალგაზრდებისგან შემდგარი მუშების წრე, დავუნიშნეთ დღე და საათი და ისიც ზუსტად მოდიოდა და ამეცადინებდა. მუშები სულგანაბული უსმენდნენ მასწავლებელს, მათ უკვირდათ—ასეთმა პატარამ ამდენი ცოდნა სად შეიძინაო. რამდენიმე ხნის შემდეგ ამხ. სოსომ გვითხრა, წრეები გავაფართოვოთო მართლაც, დიდი ხანი არ გასულა, რომ მას უკვე 7-8 წრე ჰყავდა ვაგზალში, დიდუბეში (გორის ქუჩაზე), ნაძალადევში და სხვ. მისმა მჭერმეტყველობამ, დინჯმა ლაპარაკმა და პოლიტიკური საკითხების ღრმა ცოდნამ იმდენად დააინტერესა მუშები, რომ ეს უკანასკნელნი თხოულობდნენ: „ის ნაყვავილარი ახალგაზრდა არ გამოგვიცვალოთ, სხვა პროპაგანდისტი არ გვინდათ".

1899 წლებში ამხ. სტალინი უკვე თვალსაჩინო ადგილს იჭერს. ის ეკამათება მესამე დასელების ლიდერებს მუშაობის ტაქტიკის შეცვლაზე. არ აკმაყოფილებს ვიწრო კარჩაკეტილი მუშაობა. მოითხოვს ფართო მასობრივ მუშაობაზე გადასვლას. ამ საკითხში მას მხარს უჭერდა ლ. კეცხოველი, ს. წულუკიძე, დავითაშვილი. მუშაობის ამ მეთოდს არ ღებულობენ ნ. ჟორდანია, ს. ჯიბლაძე და სხვა.

აი აქ ჩაეყარა საძირკველი ორ ტაქტიკურ მიმართულებას: უმცირესობა ებრძვის უმრავლესობას მასობრივი მუშაობის საკითხში. 1900 წელს ამავე ბინაზე როგორც მხატვარს დამავალეს დამეწერა და დამეხატა საპირველმაისო წითელი დროშა.

დროშაზე ლოზუნგები დავწერე. შუაში კარლ მარქსი დავხატე. მარჯვნივ და მარცხნივ ფრიდრიხ ენგელსი და ლასალი. ამხ. კეცხოველი იმდენად აღფრთოვანებული იყო წითელი დროშით, რომ დროშას მოეხვია, გულში ჩაიკრა და როგორც საყვარელ არსებას კოცნა დაუწყო: ვნახოთ როგორი იქნება ჩვენი მაისობა, სისხლში ამოვლებული დროშის ფრიალი ჰაერში, პირველ მაისობაზეო. გვინდა ვნახოთ რევოლუციის მოწინავე რაზმი, რამდენად დიდია მათი ძალა, შესძლებენ თუ არა მომავალ წელს ქალაქის ქუჩებში აფრიალონ წითელი დროშა და ამცნონ მეფეს და კაპიტალისტებს, რომ მოახლოვებულია მათი უკანასკნელი ჟამიო. მართლაც, მაისობამ შესანიშნავად ჩაიარა. ლადომ და სოსომ აღგზნებული სიტყვები წარმოსთქვეს.

ამხ. სტალინის მონაწილეობით მოხდა კონკის მუშათა გაფიცვა. მახსოვს ჩვენს ბინაზე სოსო და ლადო ამის შესახებ თათბირობდნენ. კეცხოველს მიენდო გაფიცვის მომზადება. ერთ საღამოს კონდუქტორის შინელში გადაცმული ამხ. კეცხოველი დაგვყავდა მუშა-მოსამსახურეების საცხოვრებელ ბინებში (კაზარმაში), აგიტაციის გასაჩაღებლად. მასობრივი მუშაობის შედეგად გაფიცვა მომზადდა.

1901 წ. 11 ნოემბერს ავლაბარში ტფილისის კომიტეტის არჩევა მოხდა. ამხ. სოსოს არჩევა ტფილისის კომიტეტში ინტელიგენტებს არ უნდოდათ. მაგრამ მუშებში მას დიდი სიმპატია ჰქონდა. ამიტომ მუშებმა იგი წამოაყენეს და გაიყვანეს კიდეც კომიტეტის წევრად. მაგრამ, როგორც კარგი ორგანიზატორი, იგი ტფილისში დიდხანს არ დარჩენილა. გაიგზავნა ბათომში ორგანიზაციის მოსაწყობად. თუ რა გააკეთა იქ, ყველასათვის ცნობილია.

1905 წელს, ბულიგინის დროს, ნაძალადევში 10-ათასიან მიტინგზე ამხ. სოსომ წარმოსთქვა საპროგრამო სიტყვა. მას რეპლიკებით ხელს უშლიდა მელიტონ რუსია. ეს ვერ მოითმინეს ახლო მდგომმა მუშებმა და შენი მელიტონ რუსია მაგრად მიბრეგვეს. ცხვირპირ დასისხლიანებული იგი ძლივს გაიყვანეს მიტინგიდან.

ა. ცინცაძე

ძველი ბოლშევიკი.

სტალინი ჩოხატაურში

1905 წლის ივლისის ბოლო რიცხვებში იესე (პეტრე) ცინცაძემ ბათომიდან ჩოხატაურში, სოფ. ფარცხმაში ჩამოიყვანა ამხ. კობა (სოსო ჯუღაშვილი). კრებებზე სოსო გამოდიოდა რ. ს.-დ. მ. პ. კავკასიის კავშირის სახელით. ბინად გაჩერდა ამხ. სიფე ცინცაძის ოჯახში, სადაც ღამეს ათევდა; დღისით კი აწყობდა კრებებს და აკეთებდა მოხსენებებს. ამ დროს გურიაში საერთოდ გლეხთა მოძრაობა ფართო ხასიათს ღებულობს. მოძრაობა მიმართული იყო ადგილობრივი მემამულეების, თავადაზნაურების და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. გლეხობა შეურიგებელი სიძულვილით იყო განწყობილი მემამულეების — ერისთავების და ბერიძეების წინააღმდეგ. გლეხები ძლიერ იყვნენ შევიწროვებული აგრეთვე სამღვდელოებისა და ბოქაულებისგან.

საერთოდ გურიაში და კერძოდ ჩოხატაურში მთავრობის, მემამულეების, ვაჭრების და სამღვდელოების წინააღმდეგ გლეხობის ფართო მოძრაობა გაჩაღდა. გლეხები თავს ესხმოდნენ მემამულეებს, ანადგურებდნენ მათ ყანებს, სახლკარს და ბეღლებს. მაგალითად, ჩოხატაურის თემში მემამულე მასიკო ცინცაძის ყანა ღამით ნედლად აჩეხეს. მასვე დაუწვეს ორი სასიმინდე.

1904-1905 წლებში სოც.-დემ. ორგანიზაცია ჩაუდგა სათავეში გლეხთა მოძრაობას და მას უფრო ორგანიზებული ხასიათი მისცა.

მაგრამ თვით ორგანიზაციის შიგნით მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის დიდი დავა იყო. ჩოხატაურში მოდიოდნენ მეუმცირესეების (მენშევიკების) მოქადაგეები. ხშირად ხანგრძლივად რჩებოდნენ და უქადაგებდნენ გლეხობას, ვითომც მეუმცირესეები ღარიბი გლეხების ინტერესებს იცავენ, ხოლო მეუმრავლესეები იმათ ინტერესებს, ვისაც მეტი ქონება აქვს. ასე უნდოდათ გლეხობის მოტყუება მენშევიკებს.

საჭირო იყო ბოლშევიკების მხრივ ისეთი კაცის მოწვევა, რომელიც ნიღაბს ახდიდა მენშევიკების ამ მატყუარობას. აი სწორედ ამ დროს იესე ცინცაძემ ჩამოიყვანა კობა ჯუღაშვილი ზემო-ფარცხმაში.

ზაფხულის დილა იყო, გვაცნობეს, რომ სოფელ შუაფარცხმის ეკლესიის გალავანში მიტინგია გამართული. მთელი ჩოხატაურის გლეხობა, —ქალი და კაცი მიტინგზე მიდის. ჩვენ წინდაწინ ვიცოდით, რომ ამ მიტინგზე მოხსენებით გამოვა კობა ჯუღაშვილი. მიტინგს დაახლოვებით ათასამდე კაცი და ქალი დაესწრო. მიტინგი გახსნა არსენ წითლიძემ. მოხსენებით გამოვიდა კობა, რომელმაც გააშუქა ყველა სადაო საკითხი და ახადა ნიღაბი მენშევიკების მატყუარობას. ჯუღაშვილის სიტყვიდან მხოლოდ რამდენიმე ადგილი დამახსოვრდა პარტიის წევრობისა და დროებით მთავრობაში მონაწილეობის შესახებ: პარტიის წევრი უნდა იყოს ერთ რომელიმე ორგანიზაციაში და იბრძოდეს ამ ორგანიზაციის ყველა დავალების შესასრულებლად, ის მტკიცედ უნდა ატარებდეს ცხოვრებაში პარტიის ყველა დადგენილებას და ბრძოლის მოწინავე რიგებში უნდა იდგეს. პარტიის წევრისათვის რევოლუციური ბრძოლა და ამ ბრძოლაში მოწინავე პოზიციაზე დგომაა მთავარი და არა მარტო საწევრო გადასახადის გადახდაო. მეუმცირესეები ამტკიცებენო, — განაგრძობდა ამხ. ჯუღაშვილი,—რომ დროებითი მთავრობა უნდა იქნეს ბურჟუაზიულიო. საქმეც იმაშია, რომ ბურჟუაზიას ჩვენ არ უნდა ჩავუგდოთ ხელში ძალა-უფლება, პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა რევოლუციის მამოძრავებელი ძალებია, ამიტომ დავამხობთ თუ არა თვითმპყრობელობას, უნდა დავსახოთ დროებითი რევოლუციური მთავრობა თვითონ ჩვენ, მშრომელმა ხალხმაო. აი დაახლოვებით ამხ. ჯუღაშვილის სიტყვის მოკლე შინაარსი.

ჯუღაშვილის წინააღმდეგ გამოვიდა მენშევიკების ბევრი ორატორი. კამათმა საღამოს ცხრა საათამდე გასტანა. მენშევიკები რომ ვერაფერს გახდნენ, მიმართეს უხეშ დემაგოგიას. ამ მიტინგის შემდეგ სტალინი ერთ კვირაზე მეტს დარჩა ჩოხატაურში და მოხსენებით გამოდიოდა სხვადასხვა სოფელში. მის გამოსვლას ახასიათებდა რკინის ლოგიკა. მან ბევრი გლეხი გაარკვია ჭეშმარიტებაში და დააყენა ბოლშევიზმის გზაზე.

ამხანაგი სტალინი (1896 წ.)

ვ. ციბაძე

ძველი მუშა

მართლაც მოვესწარით ბედნიერ ცხოვრებას

ვმუშაობდი ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხანაში. იქ სამუშაო პირობები საშინელი და აუტანელი იყო. მაშინ მუშების გასართობი მხოლოდ ღვინისა სმა, ყომარბაზობა და სხვა ამგვარი უკულტურო დროს ტარება იყო. მუშების ასეთი ყოფა-ცხოვრებით ქარხნის პატრონიც სარგებლობდა—როგორც უნდოდა, ისეთ პირობებში ამუშავებდა მათ. ამ დროს ქარხანაში არ იყო ცოტად თუ ბევრად მომზადებული და შეგნებული მუშა, რომელსაც შეეძლო ეკისრა მათი ხელმძღვანელობა და მცირედად მაინც შეგნება შეეტანა მუშათა მასაში.

1898 წლის დასასრულს ამხ. სანდრო ბაჟიაშვილი დაბრუნდა ბაქოდან და ხელახლად შემოვიდა ბოზარჯიანცის ქარხანაში სამუშაოდ, აქ გამოირჩა, რამდენიმე ცოტა ფხიზელი გონების პატრონი ამხანაგები: არტემ ლითანიშვილი, გიორგი აზნაუროვი, ვანო მანჯავიძე, მიხეილ ვარსიმაშვილი (ამჟამად ეს სამი მკვდარი არის) და რამდენიმე სხვა მუშა. ამ პატარა ჯგუფით დაიწყო მუშაობა. სულ მოკლე ხანში ოცდახუთ კაცამდე შეიყარა.

ხშირად ვმართავდით პატარ-პატარა კრებებს ხან ფაბრიკის უკან ფრანგების სასაფლაოზე, ხან საჩიებში და ხან კიდევ სარდაფებში, სადაც ღვინოც იყიდებოდა (ეს მაშინ აუცილებელი იყო ჩვენი მუშებისათვის, რადგან სხვაგან არც ისე ადვილი იყო მათი თავმოყრა). ამგვარი მუშაობა კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ 1898 წლის დასასრულს სოსო არ მოგვშველებოდა. მისი ხელმძღვანელობით ჩვენი მოძრაობა უფრო გაღრმავდა და ფეხები გაიდგა მომავალი რევოლუციის შესახვედრად.

ერთ საღამოს ამხ. ბაჟიაშვილმა მითხრა: „ამხ. ვასო, ამ საღამოს როგორმე ჩვენი მუშების უმრავლესობას მოუყარეთ თავი სადაც მოსახერხებელი იქნებაო". საღამოს ჩვენი სოსო უნდა მოვიდეს აქა და მუშებთან ცოტა საუბარი უნდა გამართოსო.

როგორც ზემოთ ვთქვი, ჩვენი მუშები, ძალიან მისდევდნენ ღვინის სმას. იმათი შესაფერი რამ რომ არ მომეგონებია, მათი თავმოყრა მართლაც ძნელი საქმე იყო. მეც სხვა ამხანაგების დახმარებით, ამ დღეს მუშებში ხმა გავავრცელე; ერთ ალაგას კარგ ღვინოს ჰყიდიან ბოთლს შვიდ კაპიკად. ვისაც გინდათ, საღამოზე, მუშაობის შემდეგ გავიდეთ ფრანგების სასაფლაოზე და იქ ერთი კარგად ვიქეიფოთ მეთქი. მუშების უმეტესი ნაწილი სიამოვნებით დაგვეთანხმა. მართლაც მუშაობის შემდეგ ყველანი დანიშნულ ალაგას შევგროვდით. მუშები ცოტა არ იყოს შეფიქრიანდენ და მოთმინებას ჰკარგავდნენ, რადგანაც დრო გადიოდა და ღვინო კი არსად სჩანდა...

ცოტა შებინდა. სოსო და ბაჟიაშვილიც მოვიდნენ, მოგვიახლოვდნენ. სოსო ყველას მიესალმა, ბაჟიაშვილმა გვითხრა: ამხანაგებო, ვიდრე ღვინოს მოიტანდნენ, ეს ამხანაგი ცოტა რამეს გიამბობთ მუშათა ცხოვრებიდანაო. იმედია გულმოდგინებით მოუსმენთ, რადგან ეს ისეთი ამხანაგია, რომ მუშათა კეთილი ცხოვრებისათვის თავის თავს არ დაზოგავსო. ეს იყო ჩემ მიერ სოსოს გაცნობის პირველი დღე. როგორ და საიდან იცნობდა ბაჟიაშვილი სოსოს, ეს ჩემთვის და სხვებისათვისაც ჯერ გამოურკვეველი იყო. ამოვირჩიეთ უფრო მყუდრო და დაბლობი ალაგი. სოსო ჩვენთან ჩამოჯდა ქვაზე. მოკლედ შეეხო მუშების დუხჭირ ცხოვრებას, განსაკუთრებით მათ გამუდმებულ ლოთობას და არაკულტურულ ცხოვრებას. შემდეგ თანდათანობით გადავიდა კაპიტალისტების და მუშების ურთიერთ დამოკიდებულებაზე. სოსომ ნათლად და გარკვევით დაახასიათა კაპიტალისტების ფუფუნებით ცხოვრება, თუ რამდენად არის კაპიტალისტების ბედნიერება აშენებული მშრომელ მასის უბედურებაზე. გარკვევით აუხსნა მუშებს, თუ რა მახინაციებით გადადის მუშის შრომით შექმნილი სიმდიდრე კაპიტალისტების ჯიბეში, რატომ არიან მუშები ყოველთვის სიღარიბესა და გაჭირვებაში, როგორ და რა გზით შეუძლიათ თავიდან აიცილონ გაჭირვებული ცხოვრება, როგორ უნდა ებრძოლონ კაპიტალისტებს და რა სარგებლობას მოუტანს შეგნებულად და ორგანიზაციულად მოწყობილი ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ.

სოსომ მოკლედ გააცნო მუშებს არსებული წესწყობილების უვარგისობა. ერთი სიტყვით, რამდენადაც კი დრო ნებას აძლევდა, ყოველივე მოკლედ და გასაგებად გააცნო მუშებს; მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მუშებზე. ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ღვინოზე ფიქრიც კი დაავიწყდათ... და მწარე ოხვრა-კვნესით გაიძახოდენ: მაშ ჩვენ ადამიანები არ ვყოფილვართ ქვეყანაზე, დღეში 10 საათი და ხან მეტიც თუთუნის მტვერში ვიხრჩობით, ჯანის სიმრთელეს ვკარგავთ და პურიც არა გვაქვსო.

შემდეგ სოსომ მიმართა მუშებს: აბა, ამხანაგებო, მგონია, ცოტა თუ ბევრად თქვენც გაეცანით აქ წამოყენებულ საკითხებს. რასაკვირველია, ეს პირველი და უკანასკნელი არ იქნება ჩემი თქვენთან საუბარიო.

მე ხშირად ვივლი თქვენთან სალაპარაკოდ, მაგრამ ყოველთვის აქ, ასეთ ღია ალაგას არ შეიძლება კრების გამართვა. ამისათვის უფრო მოფარებული ადგილი უნდა ავირჩიოთ, რომ შეიძლებოდეს მუშების თავისმოყრა, რადგანაც, როგორც თქვენ ემზადებით საბრძოლველად, აგრეთვე არც კაპიტალისტებს, მთავრობას და მათ ჯაშუშებს არ სძინავთ.

მაგრამ ვიდრე ამ საკითხს გადავწყვეტდეთ — განაგრძობდა სოსო — მე მინდა ზოგიერთი რამ აგიხსნათ, თუ თქვენთვის, პირველყოვლისა რა არის აუცილებელი. პირველად. საჭიროა ვიქონიოთ ერთმანეთში მტკიცე და შეურყეველი კავშირი, ამასთან ერთად კავშირი სხვა ფაბრიკების მუშებთანაც. მეორე ის, რომ თქვენ ყველამ ეს ჩვენი მუშაობა, ძალიან საიდუმლოდ უნდა შეინახოთ. მესამე, იქონიოთ საგაფიცვო კასები, რომ საჭიროების დროს ამ კასამ დახმარება გაუწიოს იმ მუშებს, რომელნიც უფრო გაჭირვებაში იქნებიან, ან რომელთაც დაატუსაღებენო. ამ სიტყვამ თქვენ არ უნდა შეგაშინოთ, რადგან ბრძოლა უმსხვერპლოდ არ შეიძლება. მეოთხე,—უნდა იქონიოთ რევოლუციური ლიტერატურა. ფურცლები და პროკლამაციები. უნდა დაანებოთ თავი ღვინის სმას და უწესო ცხოვრებას. დარწმუნებული იყავით, ამხანაგებო, რომ ასეთი ცხოვრება ჩვენ მოგვიტანს ბედნიერ და თავისუფალ ცხოვრებას. რასაკვირველია, ცოტა დაგვიანებით, მაგრამ **თქვენ მოესწრებით მუშათა კლასის ბედნიერ ცხოვრებასო.**

კარგად დაბნელდა, რომ ჩვენ ისევ სასაფლაოზე ვისხედით. ბოლოს გადავწყვიტეთ შემდეგი კრებების მოწვევა. სოსო შეგვპირდა: რა დროსაც დანიშნავთ, მეც მომავალო. ამგვარად 1900 წლის დამლევამდე სოსო ჩვენთან დადიოდა კრებებზე და ამზადებდა ჩვენს მუშებს.

სოსოს ხშირად მოჰქონდა ჩვენთან პროკლამაციები. დროგამოშვებით ჩვენი მხრივაც ვავრცელებდით არალეგალურ ლიტერატურას მუშებში.

გ. ელისაბედაშვილი

ახალგაზრდა სტალინი

წრეს, რომელსაც გორის სასულიერო სასწავლებელში თავიდანვე დიდი სიმპატიით მივუდექი, ეკუთვნოდნენ: ლადო კეცხოველი (უფროს კლასში იყო), მიშა დავითაშვილი, სოსო ჯუღაშვილი, სოსო ირემაშვილი და სხვანი. ლადო კეცხოველი იმ ხანიდან იერად მახსოვს: მახსოვს მისი მაღალი შუბლი, დაღვრემილი და დაფიქრებული სახე, ახოვანი ტანი, ყოველთვის იღლიაში გამორჩობილი წიგნებით და მეტწილად ცალკე მოსიარულე. ლადო გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სემინარიაში გადავიდა სასწავლებლად და იმ დროიდან, სანამ მეც ტფილისში არ გადმოვედი და არ შევხვდი რევოლუციურ ასპარეზზე, მას ველარ ვხედავდი.

სამაგიეროდ ვხედავდი ხშირად და თავიდანვე კარგად ვიცნობდი ამხ. სოსოს, რადგანაც მან სასულიერო სასწავლებელი სულ რაღაცა ორი წლით ჩემზე ადრე გაათავა და მასთან უფრო ხშირად მიხდებოდა ამხანაგური კავშირის დაჭერა. კლასით, ხნით და ცხოვრების პირობებით არ ვყოფილვარ ამხანაგ სოსოსთან დაკავშირებული, მაგრამ ის გამოუთქმელი, უხილავი, იდუმალი მეგობრული სიმპატია, სიყვარული და პატივისცემა, რომელიც თითქმის ყველა ბავშვს გამოუცდია, როდესაც იგი ვისმესადმე კარგად ყოფილა განწყობილი, მიგახვედრებთ, თუ რა უნდა ყოფილიყო ამხ. სოსოსთან ჩემი დამაკავშირებელი.

ბავშვობისას ყველას გვყავდა სკოლაში ჩვენი „გმირი" და სათაყვანებელი. მახსოვს პატარაობა და პატარა ამხანაგები, როდესაც სკოლის კედლებს გავეწყაპებოდით ხოლმე და ვუცქეროდით უფროს ამხანაგებს თამაშობის, მღერის, კრივის, სირბილის, ლახტი-წრის, ბურთაობის, ჭიდაობისა და სხვათა დროს. ვუცქეროდით, როგორ იმარჯვებდნენ ჩვენი „გმირები" და ჩვენს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ჩემი გმირი იყო სოსო. იგი ყოველთვის მასახელებდა ხოლმე: ვინ გაიმარჯვა კრივში? სოსომ. ვინ წააქცია ჭიდაობაში ამხანაგი? სოსომ. ვინ გაათრია წრიდან მოხერხებულად ქამარი და რიგიანად აუხურა ფეხები წრეში მდგომს? სოსომ. ვინ გაჭრა ყველაზე შორს ბურთი? სოსომ. ვინ კითხულობს ყველაზე მეტ წიგნს? — სოსო. ვინ არის ამხანაგური გრძნობით ყველაზე მეტად გატაცებული? სოსო. ვინა სწავლობს ყველაზე უკეთესად? სოსო. ერთი სიტყვით ამხ. სოსო თავიდანვე, ისე როგორც შემდგომ ამხანაგებში — ყოველთვის პირველი იყო და ყველასაგან გამოირჩეოდა.

გარეგნულად ხმელ-ხმელი, საშუალო ტანადობისა, ნაყვავილარი სახით, მრავალმეტყველი, ეშმაკი, ირონიული და გაქრიახი თვალებით, სოსო ყველას ყურადღებას იქცევდა. სოსოს ჩვეულებად ჰქონდა შორიდანვე გაეზომა თავისი საქმე, დაადგებოდა რა გადაწყვეტილებას, მხოლოდ მაშინ ანებებდა თავს, როდესაც მიზანს აღწევდა, ან დარწმუნდებოდა, რომ მისი უარისყოფა და მიტოვება საჭირო და აუცილებელი იყო.

მას დიდი მზრუნველობით ეპყრობოდნენ ყველანი: მასწავლებლები, მეზობლები, ამხანაგები, ნათესაობა. არ იყო გორში ისეთი ადამიანი, რომელსაც არ სმენოდა სოსოს „კარგი ბიჭობა". შეჰხაროდნენ მის მშობლებს ასეთი საიმედო შვილის ყოლისათვის.

სოსოს გასართობი და სალხინო ამხანაგთა წრე იყო. პატარაობისას სოსო ძალიან ცელქი იყო. უყვარდა მშვილდ-ისრის ხმარება, შურდულით ქვის სროლა და ქუჩებში სირბილი — „არსენობის" *) თამაშობა. სიცელქით ერთხელ სოსო მოჰყვა მეეტლე „ნაგიეარის" [illegible] და სიკვდილს ძლივს გადურჩა.

სოსომ იცოდა კარგი სიმღერა და მეგობრული დროსტარება. ამიტომ უმისოდ არ ყოფილა არც ერთი გუნდი. ამ გუნდებში იგი ხან ლოტბარობდა, ხან ასრულებდა სოლოს, დუეტს, და როდესაც მილოცვების დრო, ან სხვა რაიმე სამხიარულო დღეებში სოსო მოხვდებოდა რომელიმე გუნდში, ყველამ იცოდა, რომ ეს გუნდი უხვად ისარგებლებდა მსმენელთა სიმპატიით და ალერსით.

ზაფხულობით სოსო ხშირად მიდიოდა სოფელ წრომში (სადგურ გ[illegible]ის მახლობლად, მტკვრის გაღმა) ამხ. მიშა დავითაშვილთან იქ ის წიგნის კითხვაში, მინდვრად ნავარდსა და მეგობრულ ვართობაში ატარებდა დროს, რომ ტფილისში დაბრუნებისას უფრო ნაყოფიერად ემეცადინა და გასცნობოდა) ამხ. მიშა დავითაშვილთან. და სამუშაოს, რომლის ხელმძღვანელადაც იგი იყო მოწოდებული.

ამხ. სოსო ბავშვობიდანვე რთული პიროვნება იყო: კარგი მოჭიდავე, კარგი მოკრივე, დიდი ნიჭის პატრონი, საუკეთესო მოწაფე, მტკიცე ხასიათის საქმიანი ადამიანი, სამაგალითო ამხანაგი და სხვ.

სოსოს ძალიან უყვარდა წიგნების კითხვა. დაწაფებული იყო კლასიკოს მწერლებს, მშვენიერად იცნობდა ყველა მწერალს და თითონაც იჩენდა მწერლობის უნარს. ძალიან ეადვილებოდა ამხ. სოსოს ლექსების წერა. მისი ლექსები იბეჭდებოდა „სოსელოს" ფსევდონიმით (ნიმუშები სარევოლუციო მუზეუმშია). თავისი ლექსთწყობით, ლირიზმითა და შინაარსიანობით მისი ლექსები წააგავდნენ ნ. ბარათაშვილის, ლერმონტოვის, ბაირონის და სხვათა ნაწარმოებებს. ამხანაგმა სოსომ ექსპრომტადაც იცოდა წერა, და ასე გასინჯეთ, ამხანაგებს წერილებზეც კი ლექსებით უპასუხებდა.

1894 წელს სოსომ პირველ მეგირდად (იგი ყოველთვის პირველი მეგირდი იყო) დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი და გადავიდა ტფილისის სასულიერო სემინარიაში.

მე დავამთავრე გორის სასულიერო სასწავლებელი 1897 წლის ზაფხულში და დავრჩი სოფლად. შინ ყოფნამ, ფიზიკურმა მუშაობამ და მარტოობამ ძალიან დამაფიქრა. აღმეძრა ძლიერი სურვილი სწავლისა და იმ ამხანაგებთან ახლოს ყოფნისა, რომელნიც ჩემში ძლიერ სიმპატიას იწვევდნენ წარსულში. 1898 წელს ზაფხულის მოახლოვებისას ვთხოვე მამას მოეცა ჩემთვის საშუალება განმეგრძო სწავლა და ამ მიზნით მოვეწვია ჩემთვის რეპეტიტორი დავიწყებული საგნების განსამეორებლად. მამა დამეთანხმა და მითხრა დამესახელებინა ასეთი პირი. მე დავუსახელე სოსო. მალე ორივენი, მე და მამაჩემი წავედით გორში სოსოსთან მოსალაპარაკებლად. ვინახულეთ იგი და გადავწყვიტეთ სამი დღის შემდეგ შევდგომოდით საქმეს.

ივნისის დამლევი იყო. სოფელ ახალციხიდან (კასპის რაიონი), სადაც მე ვცხოვრობდი, ჩავედი მახლობელ ახალქალაქში (წითელ-ქალაქში) სოსოს შესახვედრად და შინ წასაყვანად. გამოჩნდა ეტლი სოსოთი. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მივესალმენით ერთმანეთს. სოსოს ბარგი ჩემს ცხენს ავკიდე და ფეხით გავუდექით გზას აღმართით სოფ. ახალციხისკენ. მე მაკვირვებდა, რომ სოსო ახლაც, როგორც ყოველთვის, წიგნებით დატვირთული იყო. მე მაშინ მეგონა, სოსო მოვიდოდა, მამეცადინებდა, დაისვენებდა, გაერთობოდა და ამით გათავდებოდა საქმე. ნამდვილად კი სულ სხვა მოხდა. სოსომ პირველ დღესვე მოინდომა ჩემი სულისკვეთების გაგება და ალღოს აღება, გამოვადგებოდი მას და მის საყვარელ საქმეს რამეში თუ არა. სანამ შინ მივიდოდით (2 კილომეტრია), სოსომ მოკლედ, გასაგებად და ღრმად გულში ჩაწვდომით გამაცნო, თუ რა ხდებოდა ცხოვრებაში, დამიხატა სურათი მშრომელისა და მუქთახორის განსხვავებისა და ბრძოლისა, მაგალითებით დამარწმუნა ცხოვრების ცვალებადობის აუცილებლობაში, გამაცნო ამის საშუალებანი და გზები.

საგნების მომზადების შემდეგ, გაკვეთილებს რომ ჩავაბარებდი ხოლმე სოსოს, ორივენი გავიდოდით მინდვრად, დავდიოდით ბაღებში, შევდიოდით მახლობელ სოფლებში და ვეცნობოდით გლეხობის ყოფა-ცხოვრებას.

ძალიან უყვარდა სოსოს გლეხობა და მასთან ბაასი. იგი იმთავითვე რიგიანად ერკვეოდა გლეხობის საკითხში. მისი სიმპატია ღარიბი, მშრომელი გლეხობისაკენ იყო მიმართული. სოსო ხშირად ჩაერეოდა ხოლმე გლეხების ლაპარაკში და თავისი ოხუნჯობით იწვევდა მათში პასუხის გაცემის წადილს, ბაასა და კამათში.

მოვიყვან ერთ მაგალითს.

ერთხელ მინდვრად მივედით გუთნეულთან და შევჩერდით. გლეხები ხნავდნენ ნაადრევ ანეულს. არ გასულა ოციოდე წუთი და გუთნეული გამოუშვეს. მეხრემ საქონელი იქვე წყაროზე მირეკა და სასადილოდ თავის ამხანაგებს მიაშურა. სოსომ თავისი ჩვეულებრივი ნაბიჯით გასწია მოსადილეებისაკენ და გამართა მათთან მუსაიფი. სოსო გლეხურად უქცევს ენას და ეკითხება ერთ გლეხს:

— რა თქმა უნდა, ძმაო, ძალიან დაიღლებოდით, მაგრამ ეითელმაი, რომ პირში მაგოდენა ლუკმებს იდებს, განა პური არასოდეს უჭამია?

გლეხმა ახედ-დახედა, კილო ეუცნაურა. რა უნდა ამ ახალგაზრდას, რად მოსულა აქაო, გაიფიქრა და უპასუხა:

— შე კაი კაცო, თუ ჩვენი ჭამა გაკვირვებს, მოდი იმუშავე ჩვენთან და მაშინ დაგინახავთ, რამოდენა ლუკმას ჩაიდებ პირშიო.

— ვინც მუშაობს, მართალია, ძმაო, ჭამის ღირსია, მაგრამ, ყოველთვის ასე რომ არ ხდება — ეს რისი ბრალია? —ეკითხება სოსო.

— რა უყოთ, ძმაო, ასე არის და ასეთი იქნება ჩვენი ბედი — ამბობს გლეხი.

— მაგას, ძმაო, ის უნდა უყოთ, რომ თქვენი ნამუშავარი სხვას არ უნდა დაანებოთ... აჰა... მორჩა და გათავდა...!

გლეხმა ასეთი განმარტების შემდეგ სოსოს უთხრა — ეგ ადვილად ითქმის, მაგრამ ადვილად ვერ მოხერხდება. მიწას პატრონს თავისი ლალა უნდა მიეცეს, ხელმწიფეს გადასახადი, მღვდელს — დრამა, პოპოშნიკს — თავისი, გზირს — თავისი, მენახირეს, მელორხნოის, მერუეს, მევლეს, ხატს, ანგელოზს და კიდევ ვინ მოსთვლის. ყველას თავისი უნდა. აბა ვინ მოგვცემს, ძმაო, ნებას, ჩვენი ნამუშევარი მხოლოდ ჩვენთვის დავიტოვოთ. კარგი მოგივიდეს, ასე რომ იყვეს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, მაგრამ... თუ ღმერთი არა, ხელმწიფე გაგვიწყრება, ხელმწიფე არა, ბატონი დაგვსჯის, მღვდელი დაგვწყევლის და დაღმა კი არა, ქვა აღმართშიაც მოგვეწევაო.

სოსო მიხვდა, რომ ცოტა უკვე გარკვეულ გლეხთან ჰქონდა საქმე. მერე ისე მდაბიოდ, ისე მარტივად და დამაჯერებლად განუმარტა მსმენელ გლეხებს მათი ყოფა-ცხოვრების საკითხები, რომ იმათ დაავიწყდათ ხვნაც, პურის ჭამაც, შიშიც, რომელიც მოკამათემ გამოსთქვა ხელმწიფის, ბატონის და სხვების მოგინებაზე, და ერთმა მათგანმა ხმამაღლა წამოიძახა:

— ე გამჩენ ძაღლი, რა კარგად ლაპარაკობს და.. შენ, ჩემო ძმაო, ჩვენი მამასახლისი რომ იყვე, ყველაფერი კარგად იქნებოდა, მაგრამ ოქრუაშვილი (ახალქალაქის მამასახლისი იყო) განა ჩვენზე თავს შეიწუხებს? თითონ სულ კნიაზებთან დაიარება, მათ საქმეებს აკეთებს და განა ჩვენთვის სცხელა, რომ აგვიხსნას რამე და დაგვეხმაროს?

სოსომ აუხსნა გლეხებს მამასახლისის უღირსი როლიც. გათავდა ლაპარაკი. გუთანი შეიბა და ოროველას სიმღერა გაწკრიალდა ჰაერში... ეტყობოდა, გლეხები სოსოს ნათქვამმა გაამხნევა.

გლეხობა სოსოს, უყვარდა და მათ ტკბილად იგონებდა. მაგრამ აწუხებდა მათი სიბნელე და ჩამორჩენილობა. ვხედავდი, სოსო ძალღონეს არ ზოგავდა, რომ გლეხები თვითგამორკვევის გზაზე გამოეყვანა, რათა ისინი მხარში ამოსდგომოდნენ მუშებს, რომელნიც, როგორც იტყოდა ხოლმე სოსო, „ბერკეტი არიანო ძველი ცხოვრების გადასატრიალებლადო".

ერთხელ ვკითხე, როგორ მიხვდი, ამხანაგო სოსო ცხოვრების უკუღმართობას, მუშების მნიშვნელობას, გლეხობის როლს და სხვას—მეთქი. სოსომ მიამბო:

— მას შემდეგ, რაც წერა-კითხვა ვისწავლე, ძალიან ბევრ წიგნსა ვკითხულობდი. მაინტერესებდა ალ. ყაზბეგის ნაწერები, რაფიელ ერისთავის ლექსები. ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებნი, ლერმონტოვი, პუშკინი, და სხვ. ვხედავდი გაჭირვებას, სიღარიბესა და შევიწროებულ ცხოვრებას. ჩემს გარშემო მე სულ იმ პირებისა და გმირების საქმე მაინტერესებდა, რომელნიც ახალს და კარგს რასმე ჰქმნიდნენ თავისი მახლობელი, გაჭირვებული ხალხის სასარგებლოდ. ვნატრობდი, მალე გავმხდარიყავი ისეთი კაცი, რომ შემძლებოდა ჩემი ღონის მიხედვით მონაწილეობა მიმეღო ღარიბებთან ერთად ბრძოლაში. მე დავრწმუნდი, რომ ჩემი მიზნების განსახორციელებლად ყველაზე სწორი იქნებოდა მუშათა კლასის წარმოშობისა, მდგომარეობისა და მიზნების შესწავლა და მასასთან დაახლოვება, მასთან ერთად სიცოცხლე, ბრძოლა და გამარჯვება და დანარჩენი მთელი მასის, რომელიც მუშებთან ახლოს დგას, ამოძრავება. ამრიგად, გლეხობისთვის ზრუნვა რომ დავიწყე, მივედი იმ დასკვნამდის, რომ მისი გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ მუშათა კლასის შემწეობითა და წინამძღოლობით. მას შემდეგ მე მუშათა კლასის მოჭირნახულედ გამოვაცხადე თავი და ამ პოზიციას არასოდეს არ გადავუხვევ. ეს გზა არის ერთადერთი და სწორი.

იმჟამად სოფ. ახალციხეში ჩვენთან მოსვლისას სოსომ ბევრი ახალი წიგნი მოიტანა. მათ შორის მახსოვს „სოციოლოგია" ლეტურნოსი, „კულტურის ისტორია" — ლიპერტისა, „პოლიტეკონომია" ბოგდანოვისა, „ადამიანის წარმოშობა" — დარვინისა, „ლუკმა-პურის ამბავი" — დიკშტეინისა, „ოჯახის, საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა" —ენგელსისა, რუსული „ფაბრიკა" — ტუგან-ბარანოვსკისა, „თანამედროვე ეროვნება" — კარლ კაუცკისა, „მონისტური შეხედულება ისტორიაზე" ბელტოვისა, „პალეონთოლოგია" (ავტორი არ მახსოვს), ჰექსლის ლექციები (წაკითხული ივლისის უნივერსიტეტში), გეოლოგიის სახელმძღვანელოები და სხვა.

სოსოს ეტყობოდა, რომ შესდგომოდა მეცნიერების შესწავლას. სოსო წიგნებს კი არ კითხულობდა, სჭამდა: სოსოს წაკითხული წიგნები აჭრელებული იყვნენ წარწერებით და შენიშვნებით! სოსოსგან წაკითხულის დავიწყება წარმოუდგენელი იყო. მან იცოდა, როგორ წაეკითხა წიგნი, ის ამისი ოსტატი იყო.

კარგად მახსოვს სოსოს ნათქვამი სემინარიაში არსებობს წრე, რომელიც თვითგანვითარების მიზნით მეცადინეობსო. ეს წრე, როგორც მაშინ მეუბნებოდა სოსო, თურმე ორად იყოფოდა: ერთი ნაწილი პირველ რიგში აყენებდა და უპირატესობას ანიჭებდა დობროლიუბოვის, პისარევის, ტურგენევისა და სხვ. მწერლების შესწავლას. მეორე წრე კი, რომელსაც ეკუთვნოდა სოსო, უმთავრეს მიზნად ისახავდა პრაქტიკულ მუშაობას მუშათა შორის და, ამასთან ერთად, მეცნიერების დაუფლებას. მარქსიზმის შესწავლას. იმასაც მიამბობდა სოსო, თუ რა სიძნელეები არსებობდა სემინარიაში თვითგანვითარებისთვის, რა მძიმე პირობები იყო მეცადინეობისათვის.

სოსომ 1898 წელს სემინარიაში

---

*) „არსენობა"—ყაჩაღ არსენის წაბაძვით თამაში.

ჩვენი ნორჩი გმირები

დაბა აბაშას კარგად ახსოვს ბოქაულისა და მამასახლისის, ერობის თავმჯდომარისა და თეთრგვარდიელების მოხრობი და მოხამლეობის აწიოკება, უცხოეთის ცხენოსან ჯარების თარეში, რომლებმაც სხვა „მარგალიტებს" შორის „ისპანკაც" შემოიტანეს ჩვენს ქვეყანაში.

მეფობდა შიმშილი და სიტიტვლე.

ბავშვები მოხარშულ ბიასავით ყვითლები იყვნენ და იხოცებოდნენ.

დამსახურებულმა ექიმმა გიორგი ჟორჟიკიამ ბევრ მომაკვდავს სიცოცხლე დაუბრუნა. მაგრამ ორ თავიანი არწივი და „წმინდა გიორგი" შეუბრალებლად ჟლეტდა დიდსა და პატარას, მრავალ ადამიანის სიცოცხლე ექიმბაშისა და მარჩიელის ხელში იყო.

მღვდელიც სიბნელესა და ცრუმორწმუნეობას გარდა სნეულებასაც ავრცელებდა, ერთი ჭურჭლიდან და ერთი კოვზით აზიარებდა მრევლს; გადამდებ სენით გარდაცვლილ გვამზე დასდებდა ჯვარს, რომელსაც ყველა დამსწრე დიდის ამბით ეამბორებოდა, სინამდვილეში მათ სხეულში შეუმჩნევლად ისადგურებდა გადამდებ ავადმყოფობა.

მოხე მწერლები ჯიბეს ისქელებდნენ.

მევახშეობა, მექრთამეობა, ქაღალდის თამაში, მაჰანკლობა.. აი ესეც ძველი დაბის „შესამკობი"...

მწარე და ბნელი იყო ძველი ცხოვრება.

O

დამპალი დაბა ისტორიას ჩაბარდა ისე, როგორც თვით კოლხიდის ჭაობი.

აი, ვნახოთ საბავშვო ბაღი, უკეთ ვთქვათ: ბალთა ბაღი, სადაც იზრდებიან ნორჩი საბჭოთა მოქალაქენი.

აქ არიან მუშების, კოლმეურნეების, მოსამსახურეების შვილები, რომელთა მშობლებს ასეთ აღზრდაზე ოცნებობაც არ შეეძლოთ.

რომელ ვარდ-ყვავილებზე ულამაზესი არ არიან ბაღის გოგონები და ბიჭები: ხავერდის ვარდივით წითელლოყიანები, ვაჟკაცებივით მაგარ ძარღვიანები, ჩიტებივით მონავარდენი, გიშერივით შავ თვალიანები, მეგრულ სულუგუნივით ჩამოქნილნი, ბულბულივით მომღერალნი, მზის სხივებივით მოციმციმენი, წიწვიან ხეებივით თმა ხუჭუჭები. პეპლებივით მრავალფეროვანი და ჭრელ სამოსით მორთულნი. უსაზღვრო სიხარულს ამოიკითხავთ მათ სახეზე. ჭკვიანურია ჩვენი ბავშვების შუბლი და თავისებურად ლინჯია მათი ქცევა

თამაში, სიმღერა, ლექსები, მოთხრობა, სურათები, აქტიური კავშირი საბჭოთა საზოგადოებრივობასთან, დადებითი ქცევის ნიმუშები ბაღსა და ოჯახში, ნორმალური კვება, დასვენება...

ბაღის ბავშვები თავისებურად, მაგრამ მაინც უშუალოდ განიცდიან ჩვენი ქვეყნის გმირულ ეპოქას. ასეთია, მაგალითად, პატარა ხიპა.

O

ხელმძღვანელმა ბავშვები მიაცილა ბაღის კარებამდე.

პატარა გმირები მხიარულად მიდიან შინ

მიუყვებიან ქუჩის კიდეს.

— რატომ ასე კიდეზე მიდიხარ?—ეკითხებიან ხიპას, რომელმაც მხრები შეარხია ამის გაგონებაზე...

— უნდა ვერიდოთ ავტომობილს, ჭკუიანად უნდა წავიდეთ სახლში.

ოთხი წლის ბავშვი ამას სრული შეგნებით ლაპარაკობს.

ხიპა თავის ამხანაგებთან ერთად მღერის მხიარულად, შემატკბილებულად. ხიპა იშვიათი მეხსიერებისაა: ყურში ჩაწვეთებისთანავე იმახსოვრებს ლექსებს.

ხიპა საუკეთესო მოცეკვავე მსახიობი, ლექსების საუკეთესო დეკლამატორია.

ლექსი ლენინზე:

„თავზე მეხი დამეცა
ფეხებამდე გამიარა,
თუ ლენინი მომკვდარა—
არა მჯერა, არა, არა"..

ამ სიტყვებს ხიპა ამბობს მთელი განცდით: პაწაწინა ხელებს ჯერ თავზე დაიდებს, შემდეგ ქვევით დასწევს კვლავ მაღლა და ხელების ქნევით გამოხატავს:

არა მჯერა, არა, არა..

მისი მხოლოდ მიმიკა და ჟესტიკულაცია ბევრის მთქმელია.

აქ მოცემულია არა მარტო დეკლამატორი, არა მარტო მსახიობი, არამედ მხატვარიც: ის უფერწეროთ გვიხატავს ხელთუქმნელ სურათს, იშვიათი გულწრფელობით გადმოგვცემს ახალ ფერებს, რომელსაც მხატვრები ჯერ კიდევ არ იცნობენ.

ლექსი სტალინზე:

„დიდი ბელადი, მასწავლებელი.
ფოლადსავით მტკიცე და ურყევია.
იმასაც გეტყვით ვინც ის არის:
ეს ბრძენი კობა ჯუღაშვილია".

ამ სიტყვების თქმის დროს ხიპას ხელები მაგრად უჭირავს, რომ დახატოს მსოფლიოს მშრომელთა ფოლადივით მტკიცე ბელადი. ბრძენი მასწავლებელი.

ხიპა ნორჩი მებრძოლია.

„ოქტომბრელი ვარ ჯერ ნორჩი
რწმენითა ლენინელია.
ნურვინ იფიქრებს შეცდომას,
ჩვენი შეცდომა ძნელია".

O

ხიპა კრულვას უთვლის წარსულს. ხოტბას ასხამს კაცობრიობის გაზაფხულს — სოციალიზმის მშენებელ ქვეყანას და მის ბრწყინვალე მომავალს.

ხიპა ოცნებობს გახდეს მფრინავი:

„როცა დიდი გავიზრდები
უნდა გავხდე მფრინავი,
აეროპლანს შევიძენ,
ვიფრენ როგორც ჩიტი,
გადავიფრენ ველ-მინდორს,
გადავიფრენ ზღვებს და მთებს,
ჩიტუნებსაც გავუსწრებ,
რომ გაშლიან კოხტა ფრთებს"—

O

ხიპა ათვალიერებს ბელადების სურათებს. ის იცნობს მათ.

ეს ვინაა ხიპა?

— ეს მარქსია.

— ახლა ცოცხალია?

— არა. დიდი ხანია გარდაიცვალა...

— ვინ იყო ის?

— მუშების ბელადი.

— კიდევ რა იცი მის შესახებ?

— უყვარდა ბავშვები. მათთან ერთად თამაშობდა „ცხენობიას". სურათი ვნახე.

ხიპამ კითხვა არ იცის, მაგრამ ცნობილობს პატეფონის ფირფიტებს.

ხიპამ წერაც არ იცის, მაგრამ თავისებურად მაინც წერს: მან თავისი ნიშნები გამოიგონა. „წერილი" გამოგზავნა ტფილისში, რომ ის მალე ჩამოვა.

ხიპა მეორეჯერ ესტუმრა ტფილისს. მას ახსოვს ის, რაც ორი წლის წინათ ნახა.

ხიპამ და მისმა დედოფალამ მუშტაიდის ბაღში დაათვალიერეს საბავშვო მატარებელი, შიგაც ისხდნენ, იმგზავრეს, მაგრამ ხიპა ამით არ დაკმაყოფილდა:

— ამიშვით მაღლა მე და დედოფალა, პარაშუტით უნდა ჩამოვფრინდეთ. —გაბედულად განაცხადა მან. დედოფალას ხელი თავზე გადაუსვა:

— შენ არ შეგეშინდეს, უვნებლად ჩამოვფრინდებით...

ეს სურვილი მას ვერ შეუსრულეს.

ის გაიზრდება და ამ სურვილს მალე შეასრულებს. კიდევ მეტი: ასეთი ბავშვები წარმოუდგენლად აფრინდებიან სტრატოსფეროში, არ დასტოვებენ ოკეანის ფსკერს, მიწის გულს. მათ ვერ შეაჩერებს ვერც ზამთარი, ვერც ღამე, იფრენენ ისე, როგორც ჩვენი ქვეყნის გმირები.

O

ხიპამ დაათვალიერა ტფილისის ერთერთი საბავშვო ბაღი, იცეკვა და ითამაშა ამხანაგებთან, შეადარა ერთმანეთს თავისი და ნახული ბაღი და თქვა:

აქაცაა ხეები და ყვავილები, მაგრამ მანდარინის ხე არა აქვთ, დანარჩენი ერთნაირია.

O

ხიპა რომელ ნორჩ მათემატიკოსებს ჩამოუვარდება?! ის ჩვეულებრივი ბავშვია, რომელიც დაიბადა და იფურჩქნება საბჭოების ცის ქვეშ.

ის არაა ნახულისა და გაგონილის მექანიკურად განმეორებელი. მას ნათლად ესმის იმის შინაარსი, რასაც ამბობს.

ის შემომქმედია. ხიპა ამსხვრევს არგუმენტებს იმ პედოლოგებისას, რომლებიც ცდილობენ ბავშვების საბჭოთა საზოგადოებრივობისაგან ჩამოშორებას და ცილს წამებენ ჩვენს ბავშვებს: მათ არაფერი გაეგებათო.

ხიპა მარტო არაა. მას ყავს უფროსი და ქინქი და უმცროსი ძმა მირდასი (მეგრული სიტყვაა, ქართულად ნიშნავს: „გაიზარდოს").

ხიპას ყავს მრავალი მეგობარი, მისებრ გამჭრიახნი და გაბედულნი.

ხიპას მეგობარია საბჭოთა კავშირისა და ყველა ქვეყნის მშრომელთა ბავშვები.

საბჭოთა კავშირში ათეული მილიონია ხიპა.

ხიპა, ქინქი, მირდასი მშობლიური გრძნობებით გამთბარი სახელებია. პარტია, საბჭოთა ხელისუფლება, პარტიისა და მსოფლიოს მუშათა კლასის დიდი ბელადი, ბრძენი, მასწავლებელი, დიადი მესაჭე სტალინი მშობლიური სიყვარულით ზრუნავენ ბედნიერ ქვეყნის უბედნიერეს ბავშვებზე—მომავალ გმირებზე.

ისინი იზრდებიან და ვაჟკაცდებიან.

ისინი ახალ სასწაულებს მოახდენენ.

გ. ფრანგიშვილი

პარტგანათლება სამტრედიის რაიონში

წელს პარტგანათლების ქსელს რაიონში საგრძნობი მიღწევები ახასიათებს. დაძლეულ იქნა სეზონურობა, არ შეწყვეტილა პარტიული სწავლება ზაფხულის პერიოდში. გასული წლის 374 მსმენელის ნაცვლად წელს პარტგანათლების ქსელში ჩაბმულია 481 მსმენელი, უკეთ დაკომპლექტდა პოლიტსკოლები კომუნისტები მთლიანად არიან ჩაბმული პარტსწავლებაში არის მთელი რიგი სხვა სერიოზული მიღწევაც.

რა შეიძლება ითქვას რაიონში პარტგანათლების ქსელის ნაკლოვანებათა შესახებ?

პარტგანათლების ქსელში ჩაბმულ 481 მსმენელიდან უპარტიოა მხოლოდ 39. ცხადია, რომ უპარტიოთა ასე მცირე რიცხვის ჩაბმა პოლიტსწავლებაში რაიონის მასშტაბით არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. რაიონის ცენტრში და სოფლებში უეჭველად შეიძლებოდა გამონახულიყო მრავალი ათეული აქტივისტი, რომლებიც ხალისით იმუშავებდნენ ამათუიმ ტიპის პოლიტსკოლაში.

მოუწესრიგებელია მსმენელთა მეცადინეობაზე დასწრების აღრიცხვის საკითხი. რაიკომში არ მოიპოვება დასწრების ყოველთვიური პროცენტული გამოანგარიშება, რის გამო შეუძლებელი ხდება დასწრების დინამიკის წარმოდგენა. მხოლოდ ორი თვის დასწრების პროცენტი იქნა გამონახული, რომლის მიხედვით აგვისტოში დასწრება უდრის 82.5 პროც. დაკლება არა საპატიო მიზეზით 5 პროცენტს, სექტემბერში დასწრება—85 პროცენტს, დაკლება არა საპატიო მიზეზით 1 პროცენტს. ამ პროცენტების სისწორეში კულტპროპი თვითონაც არ არის დარწმუნებული!

ამჟამად რაიკომს ჰყავს 3 შტატიანი პროპაგანდისტი, 25 უშტატო, 7 რეზერვში. აგრეთვე გახსნილია პროპაგანდისტთა კურსები, სადაც 13 კაცი მზადდება. მაგრამ უკვე გამოყენებული და რეზერვში მყოფი პროპაგანდისტები არ არიან პერსონალურად დამტკიცებული რაიკომის მიერ, როგორც ამას ზემდგომი პარტიული ორგანოები მოითხოვენ. რაც შეეხება პროპაგანდისტთა კურსებს, მათი მთავარი ნაკლი ის არის, რომ ერთი მხრივ ისინი მცირერიცხოვანია, ხოლო მეორე მხრივ მსმენელები მხოლოდ რაიონის ცენტრიდან არიან და მათი გამოყენება სოფლად პროპაგანდისტული მუშაობისათვის ძნელი იქნება. საჭირო იყო კურსების მსმენელთა რიცხობრივი გადიდება სოფლის პარტორგანიზაციების ხარჯზე.

სააგიტაციო მუშაობა რაიონში არ არის დამაკმაყოფილებელი. რაიკომის ბიურომ ეს საკითხი პირველად 8 აგვისტოს სხდომაზე განიხილა და მიიღო დადგენილება შეიქმნას აგიტატორთა ჯგუფი რაიკომთან და პარტკომიტეტთან. ეს ჯგუფები მართლაც შეიქმნა. მაგრამ არაფრის თქმა შეიძლება იმაზე, თუ საერთოდ რას აკეთებს რაიკომთან უკვე შექმნილი აგიტატორთა ჯგუფი, რომელშიაც 8 კაცი ირიცხება: ამ მხრივ ნაწილობრივ უკეთ არის მდგომარეობა ზოგიერთ პირველად ორგანიზაციებში. ძაფსაღის, მურაბის, ჩაიმექანიკურ ქარხნებში და სადგურის, ტოლების, ღანირის, გომის, კულაშის კოლმეურნეობებში შერჩეული არიან აგიტატორები.

რაიონის პარტაქტივის და პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობა ჯერ არ გასცილებია ვიწრო ფარგლებს. ისინი უმთავრესად ჩერდებიან პარტგანათლების ქსელისათვის გათვალისწინებულ პროგრამებზე და როგორც წესი, სისტემატიურად არ ამუშავებენ საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხებს. ამასთანავე რაიონში შემოღებული არ არის პოლიტდღეების სისტემატიური მოწყობის პრაქტიკა. მას კი პარტგანათლებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება პარტკაბინეტის მუშაობას, ის მხოლოდ პროპსემინარის მუშაობის ორგანიზაციაში გამოიხატება და ლექციები, საუბრები, კონსულტაციები არ სწარმოებს. კაბინეტი არც ყველა საჭირო მოწყობილობით არის უზრუნველყოფილი.

რაიონში არსებული 29 პოლიტსკოლა 15 აგვისტოდან ოქტომბრის ბოლო რიცხვებამდე ამუშავებდა ამხ. ბერიას მოხსენებას — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის". როცა შეთვისების ხარისხი შემოწმეს, გამოირკვა, რომ სამ სკოლას (ღანირი, მელაური, ნიგორზღვა) არ ჰქონდა შეთვისებული მოხსენება და ამიტომ იქ გრძელდება მისი შესწავლა. დანარჩენი სკოლები კი გადავიდნენ კომინტერნის მე-7 კონგრესის დადგენილებათა შესწავლაზე; მაგრამ იბადება კითხვა: რამდენად დაწვრილებით არის შესწავლილი და შემოწმებული ამხ. ბერიას მოხსენების შეთვისების ხარისხი თვითეული მსმენელის მიხედვით? უეჭველია, რაიონში მოიძებნება პოლიტსკოლის მრავალი მსმენელი, რომელსაც დამაკმაყოფილებლად არა აქვს შეთვისებული ამხ. ბერიას მოხსენება, მაგრამ ისინი შემოწმების დროს ვერ აღმოაჩინეს. საჭიროა მათი ხელმეორეთ შემოწმება და ზომების მიღება, რომ მოხსენება პოლიტსკოლების ყველა მსმენელმა კარგათ შეისწავლოს.

ჩვენს ხელთ არის 28 ივნისიდან 15 ოქტომბრამდე რაიკომის ბიუროს მიერ მიღებული შვიდი დადგენილება პარტგანათლების საკითხებზე. თუ ავიღებთ დადგენილებათა რაოდენობრივ მხარეს, შეიძლება ითქვას, რომ ისინი საკმარისია. მაგრამ ამ დადგენილებათა თვისობრივი მხარე რომ განვიხილეთ, იმ დასკვნამდე მივედით, რომ მათში ერთი მხრივ განხილული არ არის პარტგანათლების ყველა აუცილებელი ძირითადი საკითხი, რომლებსაც სერიოზული ყურადღება უნდა მიქცეოდა ზაფხულის პერიოდში. (მაგ. კომკავშირში პოლიტგანათლების, პროპაგანდისტების შერჩევისა და დამტკიცების, რაიპარტაქტივის სემინარის მუშაობის, პოლიტდღეების და სხვათა შესახებ) და, მეორე მხრივ, ისინი ნაწილობრივ ზოგად, არაკონკრეტულ ხასიათს ატარებენ. ეს შეგვიძლია დავამტკიცოთ შემდეგი ფაქტით.

მთელი ზაფხულის პერიოდში ცალკე პოლიტსკოლის მუშაობის საკითხი რაიკომის ბიურომ სპეციალურად მხოლოდ ერთხელ განიხილა (ადგილობრივი საქვაბეების პარტორგანიზაციის პოლიტსკოლა ოქმი № 14, 4 ივნისი, 1935 წ.), მაგრამ დადგენილება, რომელიც ამ განხილვას შედეგათ მოყვა, არ იძლევა კონკრეტულ მითითებებს, რომელთა რეალიზაციაც ყოველმხრივ წინ წასწევდა სკოლის მუშაობას.

დაბოლოს ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ პარტგანათლების მხრივ მთელი სიმძიმე რაიონში ჯერ კიდევ კულტპროპგანყოფილებას აწევს და არა რაიკომის ბიუროს და, კერძოთ, რაიკომის მდივნებსაც.

ასეთია პარტგანათლების ზოგიერთი მტკივნეული საკითხები სამტრედიის რაიონში. საჭიროა მათ გამოსწორებას რაიკომმა სერიოზული ყურადღება მიაქციოს.

ხ. ლა—ნი.

* * *

ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა „აზოვსტალის" რკინის კონსტრუქციის საამქროს ელექტროშემდუღებლები, შრომის მაღალი ნაყოფიერების ოსტატები, სტახანოვური მოძრაობის ინიციატორები ამხ. ა. ვერტიიკო და ი. მაკაგონი ნორმას ასრულებენ 250—300 პროცენტით.

დაყო რამდენიმე თვეს და გამორიცხეს მეხუთე კლასიდან.

სოსო მოეწყო გეოფიზიკურ ობსერვატორიაში (პლეხანოვის პროსპექტზე), სადაც მუშაობდა ამხ. ლადო კეცხოველი. სოსო მუშაობდა ობსერვატორიაში საარსებო ლუკმაპურის მოსაპოვებლად, თორემ მის მთავარ სამუშაოს შეადგენდა პროპაგანდა, ორგანიზაცია და ლიტერატურული საქმიანობა.

სოსოს კალამი იმთავითვე მახვილი იყო. საგანი, რომელზედაც იგი შეაჩერებდა თავის ყურადღებას არ დარჩებოდა ღრმად გაუშუქებელი... მახსოვს ერთი მისი საყვედური, რომელიც შეეხებოდა „კვალის" მესვეურებს. სოსოს წერილი მიეტანა „კვალის" რედაქციაში დასაბეჭდად. იმჟამად „კვალს" ხელმძღვანელობდნენ ნოე ჟორდანია, ფილიპე მახარაძე და სხვანი. ამხანაგი სოსო ძალიან უკმაყოფილო იყო ფილიპე მახარაძის საქციელით. რადგანაც მას, როგორც სოსომ გადმოგვცა არ გაეშვა სოსოს მიტანილი წერილი.

სოსო ამბობდა;

—. რას მიქვიან [illegible] მუშაკნი, სხედან, წყალს ნაყავენ და ვერ უთქვამთ გასაგები და გაბედული რევოლუციური ენით ის, რის თქმაც საჭიროა მიმდინარე მომენტშიო.

ლადო კეცხოველმა ობსერვატორიაში მუშაობა რომ მიატოვა, იგი მთლად არალეგალურ საქმიანობაზე გადავიდა (გამოუშვა ბროშურა „ლუკმა-პურის ამბავი", აწყობდა საიდუმლო სტამბას, მოაწყო „ბრძოლის" გამოშვება და სხ.). ლადო ახლოს იდგა მუშათა წრეებთან (იგი უმთავრესად ტრამვაელებსა და რკინიგზის მუშებთან იყო დაკავშირებული). სოსოსაც არც ერთი წუთი არ დაუკარგავს უნაყოფოდ სამუშაოს ძებნაში. იგი სემინარიიდან გამოსვლისთანავე ჩაება მუშათა წრეებში და ეწეოდა პროპაგანდას. სოსოს მახვილმა და მოფიქრებულმა სიტყვამ, აზრთა მშვენივრად და მდაბიოდ გამოთქმის უნარობამ, მოხერხებულმა მიდგომამ და ერუდიციამ მალე გამოიღო სათანადო ნაყოფი. სოსოს წრის მუყაითად ესწრებოდნენ მსმენელები და მისი დიდად კმაყოფილი იყვნენ.

მალე სოსო ცნობილი შეიქმა არალეგალურ მუშაკთა შორის. ვასო ცაბაძე, სევერიან ჯუღელი, არშაკ ზურაბოვი და სხვები სოსომ მალე დაჩრდილა. მან მოწინავე მუშებთან (მიხო ბოჭორიშვილთან, ზაქარია და მიხა ჩოდრიშვილებთან, არქელა ოქუაშვილთან, გიორგი ჩხეიძესთან, ვანო სტურუასთან და სხვებთან) ერთად მტკიცე კავშირი გააბა ქალაქის მნიშვნელოვან წარმოებათა მუშებთან.

სოსო ცოცხალი, მოძრავი ხელმძღვანელი იყო. მას ვერ შეამჩნევდით დაღლილობას. ის მხოლოდ მაშინ იყო მოწყენილი, როდესაც რაიმე გარემოება ხელს შეუშლიდა და მისი განზრახული სამუშაო არ შესრულდებოდა. არაერთხელ შემინიშნავს სოსო ხალხში მიმავალი ისეთი სიჩქარით, რომ თვალს ვერც კი მოასწრებდით, კეპკით თავზე, ლურჯი სატინის ბლუზით, „კისტით" წელზე, თხელი პალტოთი და გეზი ნაბიჯით სოსო ისე გაძვრებოდა ხოლმე ხალხში, რომ გვეგონა გვეკარგებოდათ. ამ გეზის გამო ამხანაგებმა მას უწოდეს „გეზა", ეს სახელწოდება ვიცოდით მხოლოდ მისმა ახლობლებმა. ისე კი საერთოდ მას „კობას" ვეძახდით.

იშვიათი სანახავი იყო ამხანაგი სოსო „შპიკების" „დათესვის" დროს. სოსოს თვალს ვერ გაეპარებოდა ვერც ერთი „შპიკი". შეხედავდა თუ არა საეჭვო კაცს, მყისვე შეატყობდა ვინაობას და ისეთი მოხერხებით დაუსხლტებოდა ხელიდან, რომ ვაოცდებოდით. მახსოვს ერთი მისი ნათქვამი: მოვდივარ სასახლის გასწვრივ, ქალთა პირველი გიმნაზიის წინ (ახლა იქ მუზეუმია). ვხედავ, ხეების ჩრდილში (ღამე იყო) ატუზულია ცნობილი შპიკი (ის კაცი ქართველი იყო და ყოველთვის ჩოხაში გამოწყობილი, ჯოხით ხელში დაიარებოდა)... მე არ მოვერიდე, გავუარე წინ გაბედულად. შეშინდა, ეგონა დამერტყამს რაიმეო და მომერიდა, გადავირბინე წინ, დავუხვიე კალოუბნის ეკლესიისკენ, მოვუარე მარჯვნივ, მოვექეც უკანიდან. ვხედავ, გონს მოსულა და დამეძებს. მე კი, როცა ის ასეთს გარემოებაში დავინახე, გავუდექი ჩემს გზას და გავაკეთე ჩემი საქმე, რომლისთვისაც მივდიოდი... — იამბობდა — ოხუნჯობს სოსო — ერთში მაჯობა: შემაფერხა, დანიშნულს ალაგას დროზე ვერ მივედიო. შპიკის მოტყუება სოსოს მუდამ სიცილსა ჰგვრიდა და ამაყობდა ხოლმე, რომ მათ პირში ჩალაგამოვლებულს დასტოვებდა. დასწყევლა ღმერთმა — ოხუნჯობდა ხოლმე სოსო — ეს მამაძაღლები, რა ჩვენი საბარგულები გახდნენ, განა მაგათაც ჩვენ უნდა ვასწავლოთ ჭკუაო.

მოვიყვან სოსოს მოხერხებულობის მეორე მაგალითს. სოსომ კარგად იცოდა, სად მიესვლებოდა და სად არა, ვინ რას წარმოადგენდა და რამდენად საიმედო იყო. ამიტომ თავშესაფრად ჰქონდა ამორჩეული ისეთი ბინები, სადაც იგი თავს უშიშრად გრძნობდა. ხოლმე (ობსერვატორიას თავი რომ დაანება, ბინა არა ჰქონდა და ნაცნობებში ათევდა ღამეს). სოსოს, როდესაც მან თავი შეაფარა მიხა ბოჭორიშვილის ბინას (იგი თითქმის ყოველთვის იქ ათევდა), ერთ ღამეს ამ ბინას თავს დაესხა პოლიცია. ნახეს ერთ ოთახში ვიღაცა კაცი, მოიწადინეს მისი დაჭერა, პოლიციაში წაყვანა და ვინაობის გამორკვევა. სოსომ თავი მოიავადმყოფა, ლოგინში მოიკუნტა, დაიწყო კვნესა და ვითომ ძალიან ავად ვარო, შეკითხვებზე ხმას არ იღებდა: პოლიციელი ეკითხება დიასახლისს (მიხო ბოჭორიშვილი შინ არ იყო): ვინ არის ეს ახალგაზრდაო. მან უპასუხა: ეს მდგმურია, ძალიან ავად არის, მისი ვინაობაც არ ვიციო. პოლიციელებმა გაჩხრიკეს სახლი, მიხო ვერ ნახეს, ამ ახალგაზრდის წაყვანა მოიწადინეს, მაგრამ რადგანაც დაინახეს და დარწმუნდნენ, რომ ავადმყოფი იყო, სთქვეს: წავიდეთ პოლიციაში შევამოწმოთ ამ კაცის ვინაობა, თუ საეჭვო გამოჩნდება, მოვბრუნდებით და წავიყვანთო. ამას ამბობდნენ იმ იმედით, რომ „ავადმყოფი" ვერ ადგებოდა, მის წაყვანას კი ეტლი დასჭირდებოდა. სთქვეს და გააკეთეს: პოლიციელები ისე წავიდნენ, რომ დარაჯი არ დაუტოვებიათ. სოსომ თავისი საქმე გააკეთა, —იხელთა დრო, სასწრაფოდ ფეხზე წამოხტა, ჩაიცვა ტანისამოსი და თავს უშველა. პოლიციელები მალე დაბრუნდნენ სოსოს წასაყვანად მაგრამ „ავადმყოფი" არ დახვდათ. ასე დატოვა სოსომ პოლიციელები პირში ჩალაგამოვლებული.

1899 წელს შემოდგომაზე მე ჩავაბარე გამოცდები და მიმიღეს სასულიერო სემინარიაში. სოსო ამ დროს სემინარიაში აღარ იყო. სემინარიაში რომ მივედი, იქ ბევრი ამბავი დამხვდა სოსოსა და მისი მახლობელი მეგობრების მუშაობაზე. სოსოს თურმე პირველად სემინარიის მმართველობა დიდი იმედით უყურებდა. მან იცოდა, რომ სოსო ძალიან ღარიბი ოჯახიშვილი, მაგრამ შესანიშნავი ნიჭის ადამიანი იყო და კარგად სწავლობდა. ამიტომ მისგან დიდ სამღვდელო პიროვნებას მოელოდნენ. მმართველობა ფიქრობდა, რომ ასეთი ადამიანი ადვილად ვერ აიღებდა ხელს სასულიერო წოდებაზე. სოსომ კი, რა თქმა უნდა, სულ სხვა, რადიკალურად საწინააღმდეგო გზა აირჩია.

ერთხელ სემინარიაში რექტორთან მისულიყო სოსოს მამა. იგი თურმე რიგიანად იყო შეზარხოშებული და სთხოვა რექტორს: ჩემი შვილი აქა სწავლობს, მე ასეთ გაჭირვებაში ვარ, გამოუშვით ეგ კაცი ჩემთან, ხომ ხედავთ, რომ მე მოვლა-პატრონობა მინდაო. სოსო ამ ამბავს ოდნავადაც არ შეუფიქრიანებია. კარგად იცოდა, მამის ნათქვამს გასავალი არ ექნებოდა. იცოდა, რომ მისდაუნებურად სემინარიიდან მისი წაყვანა არავის შეეძლო. მართალია, სოსო მამას მეტად უნუგეშო მდგომარეობაში ხედავდა, მაგრამ რას იზამდა, მას არ ჰქონდა მამის შველის საშუალება (იგი უფრო დიდ მიზანს ისახავდა).

სემინარიაში სოსოს ყოფნისას და მის შემდეგაც, როგორც ვთქვი, ახალგაზრდათა შორის ერთი წრე ყველასაგან გამოირჩეოდა ეს წრე განიყოფებოდა ორნაწილად: ერთ ნაწილს შეადგენდნენ სეით დევდარიანის მიმდევარნი, რომლებიც თვით განვითარებას პირველ მიზნად და პრაქტიკისაგან მოწყვეტილად აყენებდნენ. მეორეს შეადგენდნენ ამხ. სოსოს მიმდევრები, რომელთაც თეორია უპრაქტიკოდ და პრაქტიკა უთეოროდ არარად მიაჩნდათ. პირველს ეკუთვნოდნენ მომეტებულნი, მეორე მიმდევარნი კი თითებზე ჩამოითვლებოდნენ.

ჯერ კიდევ კარგად არ ვიყავი გაცნობილი სემინარიის პირობებსა და ახალგაზრდობას, რომ სოსომ დამავალა შევდგომოდი ახალგაზრდობის გამოძებნას მარქსისტული წრეების ჩამოსაყალიბებლად. ეს დავალება შევასრულე. ჩამოვაყალიბეთ წრე, რომელშიაც შედიოდნენ: პორფილე ეფრემიძე, დათიკო სულიაშვილი, ალექსანდრე სვანიძე, დათიკო ღამბაშიძე, დიმიტრი გურგენიძე, დათიკო ლაკაშვილი და სხვანი. ძველებიდან იქ დამხვდნენ: არჩილ დოლიძე, მალაქია ტოროშელიძე, გიგო პარკაძე, მარტოზ ასაბაშვილი და სხვ. ახალგაზრდებთან მუშაობას აწარმოებდა ამხ. მიხილ დოლიძე. წიგნებს სისტემატურად ვღებულობდით ამხ. სოსოსაგან ამხანაგ სიმონ პეტროსიანის—კამოს საშუალებით. მეცადინეობას ვაწარმოებდით როგორც შიგნით, სემინარიის კედლებში (ფარულად), ისე გარეთ, უმთავრესად მთაწმინდის ფერდობზე, ფრანგების სასაფლაოზე.

სოსოს ხელმძღვანელობა ჩვენ არ გვაკლდა, მაგრამ ეს სასტიკ კონსპირაციულ პირობებში ხდებოდა. ამ მუშაობამ და სოსოს ხელმძღვანელობამ სათანადო ნაყოფი გამოიღო. ეს გამოიხატებოდა შემდეგით: ჩამოყალიბდა ჯგუფი ცოდნის დონის მიხედვით, შევქმენით მოძრავი სამკითხველოები, ვმართავდით კრებებს წაკითხულის ათვისების შესამოწმებლად, ვიძენდით თანამოაზრეებს ახალგაზრდათა შორის, ვაბამდით ჯერ ლეგალურ, მერე არალეგალურ ჟურნალ-გაზეთების კითხვაში.

1900 და 1901 წლები აღინიშნა იმით, რომ მოწაფეთა წრეების ქსელი გასცდა სემინარიის ზღუდეებს. ამგვარი წრეები სხვა სასწავლებლებშიც, დაარსდა: სახელოსნო სასწავლებლებში, ტექნიკურ სასწავლებლებში, ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტში, მიწათმზომელთა სასწავლებლებში. სოსო, რომელიც კარგად იცნობდა ამ სასწავლებლის მოწინავე ამხანაგებს, სათავეში ჩაუდგა ტფილისის შეგირდების სოც-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნას. ხელმძღვანელობდა რა გარედან ამ საქმეს, იგი იძლეოდა მუშაობის გეზს და დარიგებებს, თუ როგორ უნდა გვემუშავნა საქმის რიგიანად წასაყვანად.

ამან მალე თავისი ნაყოფი გამოიღო: ამოძრავდა ახალგაზრდობა. შეშფოთდნენ სასწავლებლის ხელმძღვანელნიც და მალე ჟანდარმერიისაც მივიდა ხმა. ეძებდნენ „კრამოლას", ეძებდნენ მეთაურს, ეძებდნენ ორგანიზაციის წევრებს, მაგრამ ამაოდ. მათ ისინი ვერ პოულობდნენ. სოსომ იცოდა, როგორ უნდა ყოფილიყო მოწყობილი ეს საქმე. მან კარგად იცოდა, ვის უნდა მინდობოდა ადგილებზე მისი ხელმძღვანელობა; იგი შესანიშნავად ერკვეოდა კონსპირაციის პირობებში. ამიტომ ორგანიზაციის გზისა და კვალის გამოძებნა არც ეგრე ადვილი იყო პოლიციისათვის. ასე იჭრებოდა ამხ. სოსო მუშებში, მოსწავლეებში, ხალხის გულში, და იქ რევოლუციის ცეცხლს აღვივებდა.

◆

კარლო კალაძე

იმერული მოგონება

I

ტყეებისა და ღრუბლების ჩრდილებს გზა დაუფარავს,—
დღე დამიღამდა მდინარის პირად. შევდეგ.
მთელი ხეობის წყალმა მაღრმა და საუბარმა
ჩემწინ ერთბაშად ჩამოიარა შემდეგ.

ცად ავიმაღლე ტანი მხედარმა და ყრუ ძახილი
გავაბი გვიან,—ღამეს ვტეხავდი და ძილს...
ვიღაც უცნობმა მდინარის გაღმა დასტოვა სახლი
ახსნა ბორანი და მოეგება ძახილს.

II

შინ მოწაფეებს წიგნებთან ერთად ჩასძინებოდათ.
და სახთურალთან ეკიდა მათი ჩანთა.
კარებთან შუქით შემომეგებენ, და გლეხის ოდა
იმ ბნელ ღამეში სიხარულივით სჩანდა.

მასპინძელი კი გრძელ ყალიონით, თავისებურად
ჭურებთან შედგა და ცეცხლი აუყვა ტალკვესს.—
სადაც ფრინველმა ატმის ფოთლებში დაუდრებულმა
ფრთა ვერ გაშალა და ლაფარეში დაჰკლეს.

ხნიერ მეურნეს ვხედავ ღარიბად ვერ ახსენებენ,
ხვავი ემატა ხარჩოს საერთო ძალით,—
ბუხრის წინ ეხლა ნაპერწკლებივით ცქრიალებენ
მისი შავთვალა ქალიშვილი და რძალი.

უკვე ისმოდა გოზხაურის ხმა შინ ტაშისცემად.
გამხიარულდა ბუხარი და ჩვენც გვართობს.
იმერულ ვახშმის მოლოდინში თვალშესაქცევად
ჭიქა არაყი და ხმელა ხილი მარტო.

მომირბენია გოგონამ უცებ,—ვერ გავაწბილე,—
თუმცა თვალმაქცად ეხუმრებოდა რძალი:
— მეც [illegible] თვალებს ვეღარ ვაფაცურებ!
და ქალურ ღიმილს ხელს აფარებდა კრძალვით...

III

ბუხრის წინ იჯდა მოხუცი ჯლები, ამბობდა: „მჯერა
წყალმა წაიღო სიღარიბე და ჯავრი!—
ოცდაშვიდი წლის ჯეელი ვიყავ რომ დასახვედრად
ღამით გაღმიდან რიონს შემოდგა ჯარი.

წყალგაღმა ვიდექ, უცებ ვიხელთე დრო და ნავჯახიც—
ღონიერ დავკარი რკინის ბაწარი გავჭერ...
ვაჟკაცი ერთხელ მეც გავეკეცი განწირულ ძახილს
და წყალწაღებულ ბორანზე მარტო გავრჩი!..

როცა ესხმოდათ ყელში ტალღები,—დანარჩენებმა
ცხენები დაძრეს და მდინარეში უმალ:
ჯერ შემოიჭრეს თოფის სროლით. მერე ჭენებმა
გადაუარა ყოველ დარბეულ უბანს!..

მაგრამ აქ ჭერქვეშ ჩამქრალი ხმა არ დამარცხებულა!
და ჩვენი ოდაც დაცხრილულია ტყვიით...
თუმცა დავბერდი და წარბებიც კი დანაცრებულან,
ჭრილა თვალები ნაკვერჩხლებივით ღვივის!".

ასე გვართობდა ალის ცქრიალი ჩვეულებრივი,—
და ანათებდა ბავშვებით სავსე ლოგინს.
ქალებს დაეკრათ ქათამი კეცზე მეფის გერბივით,
მოედგათ სუფრა და ღვინით სავსე დოქიც.

IV

ძილში კი წუხელ ქარს აუშლია ყავარი ალბად,
ცხენოსანივით ღამით მოსულა წვიმაც.
ოდის თავანზე მომდგარი ცრემლი ეცემა დაბლა
და მისი კვნესა ვერ გამიქარწყლა ძილმაც.

მასპინძელს უნდა ფეხისწვერებზე ჩუმი ადგომით
მე ამარიდოს მისი ცხოვრების წვრილმანს,—
შეუდგა წვიმას აქა-იქ: თუნგი, ქვაბი თუ გობი
და ჩონგურივით ისმოდა ღამით წვიმა.

კონკურსი მრეწველობის გეგმების საუკეთესოდ შესრულებაზე

კონკურსს სტახანოველები მეთაურობენ

ტფილისის ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის მექანიკური ქარხანა ჩაება ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატის და „კომუნისტის" მიერ გამოცხადებულ კონკურსში.

კონკურსის პირობები დამუშავდა ქარხნის ყველა საამქროში. საამქროებს შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. მათ იკისრეს ვალდებულება კონკურსში გამარჯვებულნი გამოვიდნენ, ფართოდ დანერგონ სტახანოვური მეთოდი, სტახანოველთა რიცხვი 500-მდე გაზარდონ და სავსებით მოსპონ ცუდი ხარისხის პროდუქცია.

სტახანოველებმა ამხ. კვლიშვილმა, ალირგლოევმა და არტაგანოვმა იკისრეს ვალდებულება ყველა საამქროში დანერგონ თავიანთი მუშაობის მეთოდი. მათ ადმინისტრაციას მოსთხოვეს საამქროების უზრუნველყოფა ნედლი მასალით, სამუშაო იარაღით აგრეთვე მოითხოვეს თვითეული სტახანოველი მუშის დაზგის პირადი ანგარიშისა და მისი ყოველდღიური მუშაობის აღრიცხვის შემოღება.

კონკურსის ყოველდღიური ხელმძღვანელობისა და სოცშეჯიბრების მიმდინარეობის, შედეგების აღრიცხვისათვის გამოყოფილია სპეციალური კომისია.

შეჯიბრებაში გამოიწვიეს ბათომი

მრეწველობის გეგმის წარმატებით შესრულებაზე გამოცხადებულ კონკურსში ჩაება ფეხსაცმელების ფაბრიკა № 2.

საამქროებსა და მუშებს შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია ჯილდოები: საამქროებისათვის — გარდამავალი დროშა და მოწინავე მუშების დასაჯილდოებლად — 1500 მანეთი.

მუშებმა იკისრეს ვალდებულება წლიური გეგმა 22 დეკემბრისათვის შეასრულონ.

ფეხსაცმელების ფაბრიკამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ბათომის ფეხსაცმელების ფაბრიკა.

ეჯიბრებიან მაუდის ფაბრიკას

კონკურსში გამარჯვების უზრუნველსაყოფად აბრეშუმის ხაქსოვი ფაბრიკის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა აიღეს ახალი ვალდებულებები და შეჯიბრებაში გამოიწვიეს მაუდის ფაბრიკის მუშაკები.

აბრეშუმის ფაბრიკამ წლიური გეგმა შეასრულა და იკისრა გეგმაზე ზევით ქვეყანას მისცეს 30 ათასი მეტრი აბრეშუმი, ხოლო წუნი დაიყვანონ 3 პროცენტამდე. აგრეთვე იკისრეს შრომის ნაყოფიერების გადიდება 108 პროცენტ-ით. 1934 წელთან შედარებით გაზრდიან საერთო პროდუქციას 27,5 პროც., ხოლო მზა პროდუქციას — 24,8 პროც.

იწვევენ ქუთაისის ფეხსაცმელების ფაბრიკას

მრეწველობის გეგმების საუკეთესოდ შესრულებაზე კონკურსში ჩაება ქუთაისის ადგილობრივი მრეწველობის საშენ მასალათა საწარმოს მუშები, ინჟ. ტექნიკური პერსონალი და მოსამსახურეები. იკისრეს კონკურსის ყველა პირობების გადაჭარბებით შესრულება. ამავე მიზნით სოცშეჯიბრში გამოიწვიეს ქუთაისის ამხ. გ. ყურულაშვილის სახელობის ფეხსაცმელების ფაბრიკა.

სტახანოველთა ცოლები ტფილისის საბჭოში

22 ნოემბერს ტფილისის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მ. ნიორაძემ მიიღო და საუბარი ჰქონდა კიროვის სახელობის ნავთის საბურღავი მანქანათმშენებლობის ქარხნის სტახანოველ მუშების ცოლების დელეგაციასთან. საუბარს დაესწრნენ ამავე ქარხნის სტახანოველი მუშების წარმომადგენლები ამხ. ბიკოვი (სტახანოველი მჭედელი), არიდტი (სტახანოველი ხარატი), ქარხნის დირექტორი ამხ. ბურეში, პარტკომის მდივანი ამხ. მეშველიანი და სხვ.

სტახანოველი მუშათა ცოლების დელეგაციამ საკითხი აღძრა იმის შესახებ, რომ საბჭოს ქუჩა კეთილმოუწყობელია ქარხნის მახლობლად, მას ღამით არ ანათებენ, ხშირად ამ უბანში არ იშოვნება ნავთი, ნავთის დუქანი დაშორებულია და პროდუქტების საყიდლადაც მუშათა დიასახლისებს სიარული უხდებათ ქალაქში რამდენიმე კილომეტრზე არც ტრამვაი (მარშრუტი № 15) მუშაობს წესიერად და ხშირად მუშათა დიასახლისებს უგვიანდებათ საწარმოდან დაბრუნებულთათვის სადილის დამზადება.

ამხ. მ. ნიორაძე დელეგატ-ქალებს შეპირდა მათ მიერ აღძრული საკითხების დაუყოვნებლივ მოგვარებას. ტფილისის საბჭომ ამის გამო წინადადება მისცა ლენინის რაისაბჭოს: დაუყოვნებლივ შეუდგეს ნავთის გასასყიდი დუქნის აგებას საბჭოს ქუჩაზე და შეუთანხმდეს ადგილობრივ საქარხნო სამმართველოებს სამისო ადგილის შერჩევისთვის, მომავალი წლის პირველ კვარტალში შეასრულოს კიროვის ქარხნის მიდამოებში გათვალისწინებული გამწვანების სამუშაოები.

„აზნეფტტორგის" კანტორას წინადადება აქვს მიცემული 8 დეკემბრისათვის გახსნას ქარხნის მახლობლად ნავთის სავაჭრო, ხოლო მანამდე ყოველდღიურად გზავნოს ამ უბანში ნავთის გამყიდველი საფურგონე (ცისტერნებით).

„გასტრონომის" კანტორის დირექციას დაევალა პირველი დეკემბრიდან ქარხნის მახლობლად გახსნას პავილიონი.

ტრამვაის დირექციას დავალებული აქვს დაუყოვნებლივ მოაწესრიგოს ხშირი და წესიერი მოძრაობა საბჭოს ქუჩაზე.

სტახანოველთა ცოლების წინადადებათა დასაკმაყოფილებლად დავალებები მიეცათ აგრეთვე მილიციის სამმართველოს, (რომელმაც 23 ნოემბრიდან უკვე გახსნა ამ უბანში [illegible] სამილიციო საგუშაგო), სახაზო მშენებლობის ტრესტს, სასკოლო კოოპერაციის და ტელისს.

შ. ფურცხვანიძე.

ფოტო-აპარატით ქუთაისში

ძველი ქუთაისი! მიყრუებული უბანი— ქალაქი სამიკიტნოებით. ტალახიანი ქუჩებით, რამდენიმე ეტლით, თავად-აზნაურები რომ მიაქროლებდნენ ყრუ ქუჩებში და ბნელ მოსახვევებში...

...და გინახავთ თქვენ ძველი ქუთაისის მოსახლეობის გართობა მთვარიან ღამეში ბაგრატიონის ტაძრის ნანგრევებზე? ან ფერმაში?

ახლა ნახეთ ახალი ინდუსტრიალური ქუთაისი —დაფნის ქალაქი და შეადარეთ იგი ძველ მიყრუებულ ქუთაისს.

— ქუთაისი არის საქართველოს მეორე სამრეწველო ქალაქი —ასე სთქვა ამიერ-კავკასიის ბელადმა, ნაცადმა ბოლშევიკმა ამხ. ლ. ბერიამ და შეხედეთ თქვენ დღევანდელ ქუთაისს...

1 აი, ლ. ბერიას ქუჩა, ასფალტით მოკეპნილი და დაფნით ამწვანებული...



2 აქვეა რიონჰესის საექსპლოატაციო გიგანტური სახლის მშენებლობა.

3 აი, ულამაზესი შენობა — ქუთაისის ბანკი.



4 უძველეს ეზოება პატარა სკვერები დაფნებით, პალმებით შემორვებულებით...



5 ესეც ლამაზად შეკრეჭილი 4 სართულიანი დაფნა, როელიც ამშვენებს მაღაზიებს და კულტურულ დაწესებულებებს.

6 ესეც ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკა.

7 და აი შუქურა ბაგრატიონის მთიდან რომ აფრქვევს რიონჰესის შუქს მთელს ქუთაისს.

იხსნება ახალი აეროკლუბი

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს წინადადების თანახმად, თავდაცვა-ავიაქიმის ა.-კ. საბჭო შეუდგა მუშაობას 8 ახალი აეროკლუბის მოსაწყობად საქართველოში. ახალი აეროკლუბები იხსნება — ქუთაისში, სოხუმში, ბათომში, ჭიათურაში, სტალინირში, ფოთში, გურჯაანსა და ლუქსემბურგში.

აეროკლუბების გახსნას, მათ მოწყობას და მომარაგებას (თვითმფრინავებით და სხვა სამასალო ნაწილით) ხელმძღვანელობს თავდაცვა-ავიაქიმის ა.-კ. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გიორგაძე. აეროკლუბების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული საკითხების ადგილობრივ მოსაგვარებლად (საერო კლუბის შენობების გამონახვა, აეროდრომებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა და სხვ.) თავდაცვა-ავიაქიმის ა.-კ. საბჭომ ადგილებზე მიავლინა ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის ავიაციის ინსპექტორი მფრინავი ნიკ. ჯიბლაძე. მფრინავ ჯიბლაძეს დავალებული აქვს მოაგვაროს საქმე ისე, რომ 1936 წლის იანვრიდან აეროკლუბები უკვე შეუდგნენ მუშაობას. აეროკლუბებთან მოწყობილი იქნება სამ და ექვს ჯგუფიანი საავიაციო სკოლები. სკოლების მსმენელთა კონტინგენტის შეგროვება დეკემბერშივე უნდა დამთავრდეს.

○

პირველი აეროკლუბი გაიხსნება ქუთაისში

თავდაცვა-ავიაქიმის ქუთაისის საქალაქო საბჭოსაგან მიღებულია ცნობა, რომ ქუთაისის პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და პროფკავშირული ორგანიზაციები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ აეროკლუბის ჩამოყალიბებისათვის დაწყებულ მზადებაში. აეროკლუბის მოწყობაში თავდაცვა-ავიაქიმს დიდ დახმარებას უწევენ —ამხ. თ. კორსაველი, ო. გველესიანი და კომკავშირული ორგანიზაციები.

თავდაცვა-ავიაქიმის აეროდრომად ქალაქის საბჭომ გამოჰყო მიწის სათანადო ნაკვეთი.

გამონახულია აგრეთვე შენობა აეროკლუბის მოსათავსებლად და დაწყებულია მუშაობა საავიაციო სკოლის მსმენელთა მოსაგროვებლად.

□

საბჭოთა კავშირის გმირების მოედანი

ჩელუსკინელების ხიდის აგებისა და ლენინის ქუჩის ამ ხიდთან ახალი ქუჩით შეერთების შემდეგ ზოოპარკთან გაკეთდა ერთერთი ულამაზესი მოედანი მთელ ქალაქში.

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა აღნიშნულ მოედანს უწოდოს „საბჭოთა კავშირის გმირების მოედანი“.

□

ახალი საავადმყოფო

ამ დღეებში სოფ. როკში (სამხრეთ-ოსეთი) გაიხსნა ახალი საავადმყოფო 15 საწოლით. საავადმყოფოს გახსნა დიდ მოვლენას წარმოადგენს როკის სასოფლო საბჭოს მშრომელთათვის. დღემდე ავადმყოფებს უხდებოდათ ათეული კილომეტრის გავლა ჯავის და სტალინირის საავადმყოფოებში მოსათავსებლად.

საკოლმეურნეო ელსადგური

დაფნის ფოთლის, სოიას და სხვა სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გზით სოფ. დარჩელის კოლმეურნეობამ (ზუგდიდის რაიონი), წელს დიდი შემოსავალი მიიღო და ააგო ელსადგური. „ილიჩის ნათურა“ უკვე ანათებს კოლმეურნეობის კანტორას ბელლებს, აგრეთვე ბევრი კოლმეურნის სახლებს. კოლმეურნეობის გამგეობამ უკვე შეიძინა მასალები, ხოლო მინდვრის სამუშაოებიდან თავისუფალი კოლმეურნეები ტყეში ამზადებენ ბოძებს ელექტროგადამცემი ხაზის გასაყვანად სოფლის მთელ ტერიტორიაზე.

ა.-კ. რკინიგზის ფიზკულტურელ ქალთა [illegible] შეჯიბრება აალათბურთსა და ფრენბურთში.

21 ნოემბერს საღამოს პლეხანოვის სახელობის კლუბში გაიხსნა ა.-კ. რკინიგზის ფიზკულტურელ ქალთა პირველი შეჯიბრება კალათბურთსა და ფრენბურთში. სურათზე: ბაქოს (აზერბეიჯანის) გუნდი.

რადიოაპარატურის ქარხანა

კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ გადასწყვიტა მომავალი წლიდან ტფილისში შეუდგეს რადიოაპარატურის ქარხნის აგებას. ასეთი პატარა ქარხანა ტფილისში მეოთხე წელიწადია მუშაობს და ამზადებს ისეთ რადიოაპარატებს, რომლებიც 1934 წლამდე უცხოეთიდან შემოჰქონდათ. ახალმა ქარხანამ, რომლის საწარმოო უნარიანობა სამჯერ მეტი იქნება, ვიდრე ამჟამად არსებული პატარა რადიოქარხნისა, უნდა დააკმაყოფილოს მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება.

ქარხნის ასაგებად ტფილისის საბჭომ გამოჰყო მიწის ნაკვეთი საბურთალოზე, სპეციალისტთა სახლის მახლობლად. ქარხნის მშენებლობა დაიწყება 1936 წლის გაზაფხულს და დამთავრდება 1938 წლის დამდეგისათვის.

ახალი რადიოქარხნის ასაგებად გათვალისწინებულია 3.500.000 მანეთის დახარჯვა. აქედან 1.500.000 მანეთი მოხმარდება ქარხნის მუშათა საცხოვრებელი სახლების აგებას.

□

ტროპიკული სად ურეში

1936 წელს საქართველოს რაიონებში გაიხსნება 20 ახალი მალარიის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური პუნქტი. ახალციხეში, კასპსა და ხაშურში გაიხსნება მალარიის საწინააღმდეგო სამკურნალო პუნქტები. ქუთაისში, ლუქსემბურგსა და აბაშაში მოეწყობა ტროპიკული სადგურები.

ორჯერ უფრო მეტად (5000-დან 12000 კილომდე) გადიდდება ქინაქინით საქართველოს მალარიანი რაიონების მომარაგება.

ტროპიკულ დაავადებათა ტფილისის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი 1936 წლის შეუდგება ვივარიუმის მშენებლობას, სადაც იწარმოებს მეცნიერული დაკვირვებები ტროპიკული სნეულებათა ცოცხალ აღმძვრელებზე.

ლენინის ოთახი რევოლუციის მუზეუმში

რევოლუციის მუზეუმი შეუდგა ლენინის ოთახის მოწყობას და გაფორმებას. წარმოდგენილი იქნება მდიდარი მასალა ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ პირველი რევოლუციის პერიოდში, რეაქციის, იმპერიალისტური ომის და ოქტომბრის რევოლუციის წლებში. მომზადებულია მასალები განყოფილებისათვის: — „ლენინი მე-3 ინტერნაციონალის ორგანიზატორი“, „ლენინისა და სტალინის ბრძოლა მენშევიკებთან“. „ლენინის ცხოვრების უკანასკნელი წლები“.

განსაკუთრებული განყოფილება მიეძღვნება ამხ. სტალინის ორგანიზატორულ როლს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნის საქმეში.

გარდა ამისა მუზეუმში იხსნება ოქტომბრის რევოლუციის ოთახი, სადაც ასახული იქნება აზერბეიჯანის პროლეტარიატის და გლეხობის ბრძოლა მეფის თვითმპყრობელობის პერიოდში.

□

ფოტო სერედასი

მე-107 საშუალო სკოლის მე-7 კლასის ფრიადოსანი მოწაფე ნელი ჩიქოვანი.

მაცივარი სოხუმში

საბოლოოდ გადაწყდა სოხუმში მაცივარის აგების საკითხი.

მაცივარის მშენებლობას აწარმოებს აფხაზეთის კურორტმომარაგება. მაცივარი ორსართულიანი იქნება 500 ტონის ტევადობით.

მაცივართან მოეწყობა ყინულის ქარხანა დღეღამეში 10 ტონა ყინულის დამზადების სიმძლავრით, ე. ი. ერთიათად უფრო მეტი სიმძლავრისა, ვიდრე ამჟამად სოხუმში არსებულ ყინულის ქარხანაა. მაცივართან მოეწყობა ნაყინის ცეხი.

მშენებლობის ღირებულება უდრის მილიონნახევარ მანეთს.

მაცივარის მშენებლობა დაიწყება მიმდინარე წლის 15 დეკემბერს.

ახალი სამუშაოები ტრამვაიზე

1936 წელს ტრამვაის დირექცია იწყებს ცენტრალური სახელოსნოს რეკონსტრუქციას ფართოლიანდაგიანი ვაგონების შესაკეთებლად. სახელოსნოებში დატოვებული იქნება ადგილი ვიწრო ლიანდაგიანი ვაგონების რემონტისთვისაც.

მომავალ წელსვე იწყება მუშაობა ტრამვაის ვაგონების სარემონტო ახალი ქარხნის ასაგებად. აღნიშნული ქარხნის აგება გადაწყვეტილია დიდუბეში. ამჟამად ტრამვაის დირექციის დავალებით, სპეციალისტთა ბიურო ამუშავებს ქარხნის საამშენებლო პროექტს, რომელიც მზად იქნება 1936 წლის 1 აპრილისათვის.

პროექტის დამტკიცებისთანავე შეუდგებიან საამშენებლო სამუშაოების შესრულებას.

□

პარტიული კალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელი პარტორგანოების განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ ცენტრალურ კომიტეტში, ამხ. დოლიძესთან (მე-8 სართული, ოთახი № 62) 24 ნოემბერს, დილის 11 საათიდან.

მახარაძის რაიონიდან:

მარიამ მექვაბიშვილი, ელენე ცერცვაძე, ლადიკო თავბერიძე, კლიმენტი ლომჯარია, ვასილ გაბრიელიძე, გერასიმე შავიშვილი, ალექსანდრე ქინქლაძე.

სამხრეთ-ოსეთიდან:

ვლადიმერ კუდუხოვი, ვასილ დაგუშოლოვი, ევტიხი ლეჟავა, პეტრე ფუხაევი, ევგენი მ. ფუხაევი, აბრამ გიგოსძე ალბოროვი, ალექსი კუძიევი, პეტრე ლოხოვი, ვასილ ჯიოევი, ბაგრატ ჯიოევი, ალექსანდრე გაზაევი, ე. დ. გერსამია, აპოლონ ცხოვრებოვი, ვლადიმერ გაბარაევი, ტ. ხარებოვი, თედორე პარასტაევი, დიმიტრი ცხოვრებოვი, პეტრე ოხტაევი, ივანე ხეთაგური.

ხონის რაიონიდან:

ვახტანგ ჩაგუნავა, ვალერიან ზახტაძე, რაჟდენ ჟორჟოლიანი, დომენტი კინწურაშვილი, აკაკი ქვიტაიძე, პავლე ჯიშკარიანი.

ბოგდანოვკის რაიონიდან:

ფილიპე ბარიაკი.

ქვემო-ჩამოთვლილი ამხანაგები უნდა გამოცხადდნენ ცენტრალურ კომიტეტში, ამხ. დოლიძესთან (მე-8 სართული, ოთახი № 62) 25 ნოემბერს, საღამოს 8 საათისათვის.

ტყიბულის რაიონიდან:

ა. ჯინჭარაძე, ივანე მხეიძე, დათიკო ციკორია, შალვა ლომთათიძე, შალვა ქათამაძე, აკაკი გვეტაძე, მიხეილ შეყლაშვილი, ივანე კუპრაშვილი, ნინო ცირეკიძე, არსენ განაგაძე, ნიკოლოზ მოდებაძე, ვარლამ ლომთათიძე, რაჟდენ ტომოჩია, ვიქტორ ჩიტიანი.

ადიგენიდან:

პ. ხარიმანოვი, იაკობ ხარაშვილი, ნ. ს. ადირაშვილი, ანტონ სტეფანეხძე აკოპოვი, ელენე აკოპოვა, მიხეილ რაფაელოვი, ჯაფარ ალექპეროვი, პავლე ნარიმანაშვილი, პავლე კუკულაძე, ი. შ. გაბისონია.

ახალციხიდან:

ი. აკოპოვი, კონსტანტინე შავრაშიძე, კარაპეტ მანუხატიევი, ტაგი ტაგიევი, პავლე ილნიცკი, ტიგრან კოსანტიანი, ალექსანდრე დარუკაშვილი.

ქვემოთჩამოთვლილი ამხანაგები უნდა გამოცხადდნენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში, ამხ. დოლიძესთან (მე-8 სართული, ოთახი № 62) 26 ნოემბერს, საღამოს 8 საათისათვის

ჩოხატაურის რაიონიდან:

მიხეილ მათითაიშვილი, იაკობ კობიძე, სიდონია ჩხაიძე, კობა ნინიძე, ლეონტი სხვიტარიძე, ფილიპე კალანდაძე, ნიკიფორე კვინტარიძე, მარიამ მარი, გიორგი ჯიქია, გრიშა დოლიძე, დათიკო ცხომელიძე, ვასილ მგალობლიშვილი, ი. ხუნდაძე, გიორგი ბერძენიშვილი, ივანე ცხომელიძე.

ახალქალაქიდან:

მანუკ გრიგორიანი, მუშეგ აკოპიანი, ვასილ ნიკოლაენკო, ავეტიკ ათოიანი, ონიკ პახენციანი, კარო კარაპეტიანი, ლევან ალტუნოვი, მარკოზ უნანიანი, არტაშეს მნოიანი, გრიგოლ იგიდიანი, ონიკ ბახენციანი, ხარქის ხრაბიანი, კარაპეტ კარახანიანი, კარაპეტ ტონოიანი, იორდანე ვახტანგიშვილი, დრასტა გაბრელიანი, ნაჩატრიანი, არუთიუნ კარაპეტიანი, ხარქის აბრამიანი, ტ. კარაპეტიანი, გიორგი ხუდატოვი, მიხეილ მელქონიანი.

ხაშურიდან:

კონსტანტინე გუმბურიძე, მაქსიმე კირსანოვი, ხულიკო კუმარიტოვი, შალვა ბაკია, დავით კიკნაძე, დავით მჭედლიშვილი, ზაქარია ზეინკლიშვილი, იაკობ ბუხიაშვილი, გრიგოლ დოლიძე.

ბორჩალოდან:

ილარიონ კაპინკაროვი, იბად ალიევი, ა. რასულოვი, კ. აბრამიანი, ხაირზადე შამისტანი, გასპარ ხაჰატუროვი, სულუთან ოღლი საფაროვი, ამბარცუმ ვარტკესიანი, აბას-კული ხალილოვი, ქერიმ-ოღლი გასანი, არშაკ ოგანეზოვი, სურენ ცატუროვი, მუშეგ ცატუროვი, ახადულა გეიდაროვი, სტეფანე საავოვი, შ. ანდღულაძე, ამაიაკ ზურაბოვი, ბაირამ-ოღლი ტაკმაზი, აპახვერან სულეიმანოვი, ანა პოპოვა, ხარიტონ ბეჟანოვი, მამედ მუსეინოვი, პეტრე კუპატაძე, არმაის შაბანოვი, ნასიბ-ოღლი ალიევი, გევორკ პოლოხოვი, გეორკ კამალოვი, აიკ აგბალოვი, იბრაგიმ გაჯიევი, სურენ მხიტარიანი, ივანე ნადირიანი.

აჭარისტანიდან:

მიხეილ ხიმონენკო, ვლადიმერ ფარცხლაძე, ვანდა მელნიკოვა, იზეტ დიასამიძე, მოსე ჩიხლაძე, სერგი მამინაიშვილი, სერგი ბარაბაძე, კაპიტონ ტაკიძე, ერასტი თავაძე, ბენიამინე დევიძე, ამბროსი მალულარია, პავლოვსკი, ი. გიორგაძე, ე. იუდინა, პეტრე მატინიანი, ივანე კოხოგოვსკი, ისიდორე ცხოიძე, ემანუილ ციბა, ვასილ დარჩია, ალფეზ ტიკარაძე, ანდრო სტეპანიანი, გრიგოლ სურგულაძე, გრიგოლ ნოდია, ბესარიონ უგრეხელიძე, ივანე თოფაძე, იუსუბ ლორთქიფანიძე, ლახიონ ფოცხიშვილი, თედორე სიხარულიძე, ფანია ხალილოვა, გიორგი ოქრუაშვილი, აგრაფინა ფირცხალაშვილი, დავით გახპარიანი, პოლინა ხუბუა, მამმუდ ლორთქიფანიძე, ბორონოვა, ალექსანდრე პავლოვსკი, მუსტაფა შარვაშიძე, დავით ხიამაშვილი, ვ. ვადაჭკორია, ვლას წულაძე, ილია ლომთათიძე, სერგი მ.მულაშვილი.

კასპიიდან:

ლუკა ბარნოვი, ხევერიანე ცინცაძე, სიკო თათარიშვილი, ლადო ბუტაშვილი, ვლად. ხვანიძე, სპირიდონ ალიმბარაშვილი, სანდრო მუხუგულაშვილი, ნიკოლოზ ქსოვრელი, ვასილ კოპლამაზაშვილი, გიორგი კოშაძე.

ჭიათურიდან:

აქვსენტი გეგეშიძე, იოსებ პალოძე, კონსტანტინე ბრეგაძე, ალექსანდრე გავაშელი, იასონ ცერცვაძე, შალვა კაპანაძე, ალექსანდრე კაპანაძე, ალექსანდრე ბოგვერაძე, შალვა ტაბატაძე, ვასილ ასანიძე, ვერა ლაშხი, იაკო ქავთარაძე, აქვსენტი ენუქიძე, შალვა თუშიშვილი, მიხეილ ქელბაქიანი, გრიგოლ ლაქლაშვილი, არკიტო ტალახაძე, ს. მ. სიმონიშვილი, ვალიკო გორგაძე, ვარლამ კოკოსაძე, ვასილ ტაბატაძე.

შ. ფურცხვანიძე.

ფოტო-აპარატით ქუთაისში

8 ქალაქის ცენტრში აღმართულია ლენინის ძეგლი, რომელიც ბადასცქერის სუფთა მოედანს და მარად მწვანე ბაღს.

9 ...დაფნით ყვავილებით და პალმებით მოქარგული გაზონები მისდევენ ასფალტირებულ ქუჩებს...

10 უძველეს ალამაზებენ და აამშვენიერებენ სახლების ფასადებს.

11 შენდება მუშათა უბნებში საცხოვრებელი სახლები და კლუბები...



12 ფართოვდება საკონსერვო ფაბრიკა. მოდის დაფნის ქალაქიდან კონსერვები.



13 ქუთაისს მალე ექნება საუკეთესო თეატრი.



14 მწვანე, ინდუსტრიალურ ქალაქს ექნება ულამაზესი საპარაშუტო კოშკი.

ქრონიკა

— მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. 13), 25 ნოემბერს საღამოს 8 ს. დრამატურგთა სექცია აწყობს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დადგმულ პიესა „ჩატეხილი ხიდის“ შესახებ საჯარო დისკუსიას. მომხსენებელი ამხ. ბ. ჟღენტი. კამათში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები, კრიტიკოსები და თეატრის მუშაკები.

— ტფ. განათლების განყოფილების ცენტრ. პედკაბინეტი 27 ნოემბერს საღ. 7 ს. ტფილისის მასწავლებელთათვის აწყობს ამხ. ფ. შენბერგის ლექციას თემაზე: „იტალია-აბისინიის ომი“. ლექცია შესდგება მე-14 სკოლის შენობაში.

[illegible]

დღეს	25 ნოემბერს	26 ნოემბერს
1 აბონ. 4 წარმოდგენა ტრუბადური ასრულ. ბ. ვალიაცი ფატმა მუხტაროვა, დ. ანდღულაძე, პ. ამირანაშვილი	5 აბონ. 4 წარმოდგენა სიმფონ. კონცერტი პაულ კლაის ხელმძღვანელობით. მონაწ. ნ. ი. გოლუბოვსკაია (როიალი); ილზა მიუხელი (სოპრანო)	მე-2 აბონ. 4 წარმოდ. დ. მჭედლიძის მესამე გამოსვლა ალი მონაწ. ე. ბოგოლეპოვა ა. სტეპანიანი. ვ. ივანოვსკი,

საგასტროლო ფასები ყველა აბონემენტისათვის.

წარმოდგენების დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

რუსთაველის თეატრი 1935—36 წლის სეზონი

დღეს	26 ნოემბერს	27 ნოემბერს
საუნივერსიტეტოს მე-13 აბ. მე-2 წარმ. ფ. შილერის in tirannos	3 აბონემ. 2 წარმ. შკვარკინის ნაბიჭვარი	7 აბონ. 2 წარმოდ. შკვარკინის ნაბიჭვარი ამ დღეებში პრემიერა ა. კორნეიჩუკის პლატონ კრეჩეტი

ქმნაში გადასახადი საგასტროლო

სალარო ღიაა 11—2 6—9 საათამდე.

დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი

24 ნოემბერს წარმოდგ. № 26	ვერაგობა და სიყვარული
26 ნოემბერს წარმოდგ. № 27	ჩატეხილი ხიდი

დასაწყისი საღ. 8 საათზე

ბილეთები თეატრის სალაროში დღის 11—2 ს. საღ. 6—9 ს.

[illegible]

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვანი ფილმი „ბემის გზა“ პროგრამის გარეშე—ჟურნალი № 26.
დამკვრელი 6-30, 8-30, 10-30 დღიურში სიმფ. ორკესტრი	ახალი ხმოვანი ფილმი „შვიდი ბარიერი“ პროგრ. გარეშე—„ავიაციის დღე, მე-18 ოქტომბერი“
რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30 სეანსები დღის 12 ს-დან	ხმოვანი საზღვარგარეთული ფილმი „პეტრ.“ (პეტერ) პროგრამის გარეშე — „ყაზბეგის იერიში“
„26“-ის კომმუნ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	ხმოვანი ფილმი შიგ პარიზში

26 ნოემბერს 1935 წელს, საღამოს 5 საათზე, გაიმართება

ა-კ. ინდუსტრ. ინსტიტუტის ენერგოფაკულტეტის ჯგ. №№ 13, 14, 15 და 16

დიპლომანტების თათბირი

კათედრების გამგეებთან ერთად.

დასწრება აღნიშნული ჯგუფების ყველა დიპლომანტისათვის სავალდებულოა

438 დეკანატი

საქ. კომპ. (ბ) ცენ. კომიტ. გამომცემლობა „კომუნისტი“

მიიღება ხელისმოწერა 1936 წლის

ყოველდღიურ გაზეთ „კომუნისტზე“ = ყოველთვიურ ჟურნალ „ბოლშევიკზე“

	1 წლ.	6 თვ.	3 თვ.	1 თვ.
„კომუნისტზე“	30	15	7-50	2-50
„ბოლშევიკზე“	6	3	1 50	-50

— ხელის მოწერა ხდება —

ყველა საფოსტო განყოფილებაში, „სოიუზპეჩატის“ ქალაქის ბიუროში, „სოიუზპეჩატის“ ორგანიზატორებთან და დაწესებულებებში ხელის მოწერის რწმუნებულებთან.

გაიხსნა მანსახკომის უმაღლეს სასწ. შემსვლელთა მოსამზად.

კურსები

ვადგენთ სპეციალურ ჯგუფს მედინსტიტუტში შემსვლელთათვის. სდგება როგორც საღამოს, ისე დილის ჯგ. პლეხანოვის პრ. № 150-ა. მეტეოროლოგიური სამმართველოს გვერდით. დილ 10—12 ს. საღ. 6—8 ს. „ოქტომბრის“ რაისაბჭოში კურსები უზრუნველყოფილია უმაღლესი კვალიფიკაციის პედაგოგებით.

11363 5—2

მამა სიმონ, დედა ლიდა, ძმა გელია კენჭაძეები იუწყებიან, რომ 24 ნოემბერს, 1 ს. ვერის სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი უსაყვარლესი შვილის

მიშიკო კენჭაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 11435

მამიდა ნინო ყიფიანი-პატარიძისა, ბიძა გუგუ, მამიდაშვილები: ნათელა, თენგიზ პატარიძეები დასტირიან უდროოდ დაკარგულ პატარა

ელგუჯა (ბიჭი) ყიფიანის

დაკრძალვა 24 ნოემბერს, 3½ საათზე, ვორდისუბნის, 27. 11442

ლუკა, ვერა, მარო ჯიშკარიანები, ალიოშა, მერი, გოგი ნიკოლაიშვილები, ლადო ლეჟავა იუწყებიან, რომ 24 ნოემბერს 2 ს. დანიშნულია ვერის სასაფლაოზე სამოქალაქო პანაშვიდი

ბენედიქტე ჯიშკარიანის

ხსოვნის აღსანიშნავად. 11444

დამწუხრებული ცოლი თამარ ვარდანაშვილ — ოქრომჭედლიძის პატარა ჯუნიკოთი და ჩიტუნათი, ცოლისდა მარგალიტა ქმრით ვარლამით, ვსტირით ძვირფას მეგობარს საყვარელ მამიკოს

ბარმენ მურმანისძე ოქრომჭედლიძის

უდროოდ დალუპვას. 450

ეკატერინე ქუთათელაძისა შვილებით, მარიამ ბურჯანაძე, გიორგი, ერეკლე ბურჯანაძეები ცოლშვილით იუწყებიან დის

ნინო პავლეს ას. აბესალაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება ალექსანდრეს საავადმყოფოდან 25 ნოემბერს, 4 ს. ვერის სასაფლაოზე. 11448

მეუღლე შუშანა შვილები: ქსენია, ზინა, სიძე მიტო, შვილიშვილი ნონული, ძმები იულო, სილიბისტრო შვილებით, და ანასტასი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი ლუკასძე ბალდავაძე

დაკრძალვა სამტრედიაში, 26 ნოემბერს. 11449

მინადორა შვილებით: ისაკ, კაროლო, ბიძები: გიორგი, აფთონ, პავლე ცინცაძეები ცოლშვილით იუწყებიან, რომ 24 ნოემბერს, 2 საათზე კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია

მარულია ემელიანეს ასულ და კუკა ზაქარიას-ძე ცინცაძეების

პანაშვიდი. 11427

დამწუხრებული დედა ელპიდე, დები: ნუცა, ქეთო, რძალი თამარ, ძმები: გიორგი, ლადო პატარა ნოდარით დავსტირით საყვარელი

ალექსანდრე (ალიოშა) ანტონის-ძე ზარუღლავას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა პატრიკეთში 26 ნოემბერს. 11443

ნინო, არჩილ, თამარ, ირაკლი, ქეთევან, ნინო, რუსუდან, გიორგი, ელო აველიშვილები ოჯახებით იუწყებიან დედის

ნინო კართველიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6 ს. გამოსვენება 25 ნოემბერს, 5 ს. მლეთის შეს. 22. 11440

სილიბისტრო, ივლიანე და ტერენტი გორელეიშვილები თავიანთი ცოლშვილით უღრმესი მწუხარებით იუწყებიან საყვარელი დედის

მართა ექვთიმეს ას. გოჩელეიშვილის

გარდაცვალებას. დასაფლავება სოფ. ონტოფოში (აბაშის რაიონი), 26 ნოემბერს. 11446

საზ. უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრის და მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ბიოლოგიური სექტორის თანამშრომლები იუწყებიან, რომ 24 ნოემბერს 2 ს. დანიშნულია ვერის სასაფლაოზე

ამხ. მიშა წერეთლის

პანაშვიდი. 11441

უსაზღვროდ დამწუხრებულნი: ქვარი მიშა, მაზლი დათიკო შვილით ვენერათი, მული ანიკო იუწყებიან დაუვიწყარ

სონია ივანეს ას. ხოსხომელიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე. გამოსვენება ნოემბრის 25, ძნელაძის 45. 11439

ცოლი ეკატერინე, შვილები: ალექსანდრე ცოლშვილით, ნინო ქმრით იუწყებიან

სერგო ლუარსაბის-ძე მიქაბერიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი დღის 1 საათზე, დაკრძალვა 25 ნოემბერს, 4 საათზე, რკინიგზის სახლი, 1. 11436

დამწუხრებულნი შვილები: მაკრო, სერგო ლორთქიფანიძეები შვილებით თამარ, ნუნუ, მიშა ყვარელაშვილები, სიძე მიტო ლალიძე იუწყებიან ძვირფასი

სონა ჯავახიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 24 ნოემბერს 1 საათზე, მოსკოვის, 7. 11438

გოგუცა, საშა ჩარავები, გალაქტიონ თუთბერიძე, ვანიჩკა სვანიძე, რაჟდენ გიგაშკორი, შადია ქოსკანოვი, დათიკო ხუციშვილი, გეგო ღვალაძე, იასონ გაბისონია, ილია ბესტავაშვილი იუწყებიან გრიშას მამის

ნიკოლოზ ცინცაძის

დალუპვას. 11437

გაუბედურებული დედა თიკო, ცოლი შვილებით, დები: თამარ, პელო, მარო ამაშუკელები ქმარ-შვილით, ძმა ვასო იუწყებიან

საშა ანტონის-ძე ბასიევის

გარდაცვალებას. გამოსვენება 25 ნოემბერს, 4 ს. ტრამვაის სახლიდან. 11445

სტამბა „კომუნისტი“ კამოს ქ. № 68 მთავლიტის რწმუნებული 8551.